№ 2675
პარასკევი,
19 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2675
პარასკევი,
19 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წლიურად—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი“ მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. || საზღვარ გარეთ: ერთის წლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე“ მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. || საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ ივლისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის,“ ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი“

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ

ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ქალაქის გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის ლიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სახლში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. აბონემენტის გარეშე

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს **ბენეფისი მ. ა. აბაშიძისა** წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა

I **მეუღლენი** კომ. 5 მოქ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა. სომხურიდან ნათარგმნი ი. ბაქრაძის-მიერ. || II **ბენეფისის წინ** სცენები 1 მოქმ. პ. უმიკაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ლეჟავა, მესხი, ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი და სხვ.

ადგილების ფასი ოპერისაა. დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში, ლაკასიონში. სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია. **ადმინისტრაცია ამხანაგობისა.** მორიგი რეჟისორი მ. აბაშიძე.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

პარასკევს 19 ნოემბერს 1904 წელს

წარმოდგენილი იქნება „ალეკო“ და „M-lle ფიფი“ ოპერა 3 მოქ. ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ფიკშ?სკაია, ორელი,, ნიკიტსკაია, მიხაილოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, კომაროვი, გალეცკი, პორუბინოვსკი, ჩალინსკი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

20 ნოემბ. წარმოდგენა არ იქნება. 21 ნოემბ.—ორი წარმოდგენა იქნება: დილით „ქიზნ ზა ცარია“ საღ. „ევგენი ონეგინ“.

გამგე ი. ა. კელლერი

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბაღდასაროვი.—ბავშვებისა. 9½—0½ ს.

მ. ფ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. ძიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობ. თ, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მძ. ქალი მ. ქ. ილიზინიანი.—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. ა. პეტრიკი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მრ. მ. ხოჯაბეგიანი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოჯაბეგიანი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მორიგებით, კვარტალი დღეში დირს 1½ მან. საზოგადო ნომერი 5 მან.

ადრესი: ვერა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. (ტელ.) ტრამვაის გაჩერებიდან-კი 34 B.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოთ 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყარაფიანცის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სნით დაავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—21)

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—11)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—31)

ექიმი
ი. ი. ბამბურვილი
რიბოვდოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—12)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 ნოემბერი

მუკდენი, 16 ნოემბერი (საკუთ. კორ.). იაპონელები ცანჩანისკენ იწევენ. ცინხეჩენსა და სინმინტინს შუა ადგილი თავისუფალია. უცხოელთა საავადმყოფოები ინკოუში ძალიან უწყობენ ხელს იაპონელებს. ამ საავადმყოფოების მეოხებით ადვილად უვლიან უთვალავ ავადმყოფებს და დაჭრილებს.

ვენა, 16 ნოემბერი. ინგლისის ელჩსა და რუსის საელჩოს წევრთან საუბრის დროს გოლუხოვსკიმ სთქვა, ავსტრიის იმპერატორი მზად არის, თუ საჭირო იქნება, დანიშნოს მეხუთე წევრი იმ კომისიისა, რომელმაც ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ამბავი უნდა განიხილოს.

ყაზანი, 17 ნოემბერი. ძმათა კრესტოვნიკოვების სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის გამგეობამ დაადგინა, ყაზანის კანტორის იმ მოსამსახურეთა ოჯახებს, რომელნიც შორეულ-აღმოსავლეთს გაიწვიეს, ეძლიოთ სრული ჯამაგირი.

პარიზი, 17 ნოემბერი („ვოლფი“). „ფიგარო“-ში დაბეჭდილია წერილი ჰოლანდიელ ინჟენერის კოისა, რომელიც ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ამბის დროს სატრანსპორტო გემს „კამჩატკა“-ზე იყო. ინჟენერი ამბობს, ღამე საიდანღაც გაჩნდა და რუსის ესკადრისკენ გამოემართა ოთხი პატარა გემი. გემები ჩქარა მოდიოდნენ და გზას არ უხვევდნენ, თუმცა რუსის ესკადრიდან ჯერ განგებ, მერე ნამდვილად გაისროლეს ზარბაზნები. ამ გემებში ორი იაპონიისა იყო.

18 ნოემბერი

ჩიფუ, 17 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). დალნიდან წამოსული ჩინელი ამბობს, რომ ბრძოლა ჯერაც სწარმოებს და რომ 16 ნოემბერს მას სროლა ესმოდა. მთხრობელი უმატებს, რომ იგი დაჭრილების გადატანაში შველოდა და პირადად 1000 დაჭრილი იაპონელი დასთვალა. უკანასკნელები ცუდ გუნებაზე არიან.

ტოკიო, 17 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). ამბობენ, რომ იაპონელებმა იერიშით აიღეს და ხელში უკავიათ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი 203 მეტრის სიმაღლისა.

ლონდონი, 17 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი იტყობინება ოკუს ჯარიდან, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა მებრძოლ ჯარების მდგომარეობაში. სერიოზული შეტაკება ჯერ არც ერთი არ მომხდარა. მოწინავე რაზმებისა და მზვერავების შეტაკებები ხდება. რუსები ხანდახან ზარბაზნებს ისვრიან. მაგრამ არც რუსებსა და არც იაპონელებს არ ეტყობათ, რომ წინ წასვლას ფიქრობდნენ. იაპონელების ჯარს სიცივე არ აწუხებს.

პეტერბურგი. ქალაქის საბჭომ დაადგინა გადიდოს პორტ-არტურის გმირებისა და იმათ ოჯახების სასარგებლოდ 100,000 მანეთი და შუამდგომლობა აღიძრას იმის ნებართვის ასაღებად, რომ მთელს რუსეთში გაიმართოს ხელის მოწერა იმავე მიზნისათვის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 ნოემბერი

შერბურგი, 17 ნოემბერი. ტრანსპორტი „დნეპრი“ და კონტრ-ნაღმიანი გემები „გროზნი“ და „გრომკი“, შეაკეთეს თუ არა, ზღვაში გავიდნენ.

ბრესტი, 17 ნოემბერი. კონტრ-ნაღმიანი გემი „პრონზიტელნი“ ნავთ-სადგურში შეიყვანეს.

ბერლინი, 17 ნოემბერი. „ლოკალ ანცაიგერ“-ის ვენელი კორესპონდენტი იუწყება, ვენაში ცნობა მიიღეს, 16 ნოემბერს სასებოდან სამხრეთისაკენ 15 კონტრ-ნაღმიანი გემი გავიდა, ალბად, ადმირალ ურიუს უფროსობით, დაბეჭდილ კონვერტებით. ჰფიქრობენ, რომ ურიუ ბალტიის ესკადრას ინდოეთის არხიპელაგში მოუცდის.

პეტერბურგი, 17 ნოემბერი. წითელ ჯვრის ზოგიერთმა უცხოეთის საზოგადოებამ პორტ-არტურში სამკურნალო წამლებისა და ნივთების გაგზავნა მოინდომა. თუმცა საზოგადოებანი ამ შემთხვევაში მხოლოდ კაცთ-მოყვარულ აზრით ხელმძღვანელობდნენ, იაპონიის მთავრობამ მაინც გადაჭრით გამოაცხადა, ნებას არ მივცემ, რომ გემებმა პორტ-არტურში წამლები წაიღონო. მიიღო თუ არა ეს ცნობა, რუსეთის მთავრობამ იაპონიის ქვეშ ყველა უცხო სახელმწიფოს შეატყობინა.

პარიზ, 17 ნოემბერი. „ფიგარო“ ჰბეჭდავს ჰოლანდიელ არნოლდ კოის წერილს. კოი, რომელიც სატრანსპორტო გემ „კამჩატკა“-ზე უმავთულო ტელეგრაფს განაგებდა, ირწმუნება, რომ გულის ინციდენტის წინა ღამეს, როცა რუსის ესკადრა ბლავაის გუკის პირდაპირ იდგა, 120 მილის მანძილზე ნაპირიდან, დავინახე, რომ ორი უცხო ნაღმიანი გემი პროჟექტორებით განათებული ესკადრისაკენ მოდიოდა. კოიმ დაინახა, რომ ნაღმიანმა გემმა ნაღმი გამოისროლა, მაგრამ „კამჩატკის“ უფროსმა მარჯვედ მოატრიალა გემი და ნაღმი აიცილა. ერთს ნაღმიან გემს ყუმბარა მოჰხვდა და უკან ჩამორჩა, მეორე ნაღმიანმა გემმა-კი მანევრები განაახლა და „კამჩატკა“-ს მეორე მხრიდან ნაღმი ესროლა. მაგრამ „კამჩატკა“-მ ეს ნაღმიც აიცილა და ნაღმიან გემს უკან დაახევინა. კოი ჰფიქრობს, რომ ეს ის ორი ნაღმიანი გემი იქნებოდა, რომლებმაც ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრაზე მიიტანეს იერიში და ირწმუნება, რომ შემხვდეს, ვიცნობ ამ გემებსაო.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსულ ჟურნალის აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. რუსული ჟურნალი „ვესტნიკ ევროპი“ (ნოემბრის ნომერი, უცხოეთის მიმოხილვა) ჰფიქრობს, რომ რუსეთი და იაპონია მალე არ შერიგდებიან და ჯერ კიდევ დიდხანს იომებენო. ჟურნალი სწერს: „იქნება ეხლანდელმა ომმა კიდევ მრავალ თვესა და წელიწადს გასტანოს. რუსეთმა გადასწყვიტა, მანჯურიაში კიდევ დიდი ჯარი უნდა გაიგზავნოსო, იაპონიაც მუდამ ახალ-ახალ ჯარსა ჰგზავნის მანჯურიაში და თავის არმიებს უმატებს. მცოდნე უცხოელ კორესპონდენტებს თუ დავუჯერებთ, იაპონიის მთავრობა ომის ასპარეზზე კიდევ 200 ან 300 ათას კარგად გაწვრთნილ სალდათს გაჰგზავნის. რუსულ გაზეთების სამხედრო სპეციალისტებს არა სჯერათ ეს ცნობა, მაგრამ ამ სპეციალისტებს არც ომამდე სწამდათ იაპონიის სამხედრო ძლიერება და ადვილად შესაძლებელია, რომ ესენი ეხლაც ძლიერა სცდებოდნენ. რუსებს იმედი აქვთ, რომ როდისმე უსათუოდ გავტეხთ იაპონელების კერპობასაო, იაპონელებსაც ასეთივე იმედი აქვთ,—რუსების კერპობას უსათუოდ დავსძლევთო. ორივე მხარე ბეჯითად ცდილობს გამარჯვებას, ამიტომ იაპონელებიცა და რუსებიც გამწვავებით იბრძვიან. იაპონელი დიპლომატები ირწმუნებიან, იაპონია კიდევ სამს წელიწადს შესძლებს ომსა და თუ დასჭირდა, ერთ მილიონ ჯარის-კაცს გამოიყვანსო. იაპონიას 48 მილიონი მცხოვრებელი ჰყავს და იქნება მართლა იმდენი ჯარის გამოყვანა შეიძლოს, რამდენიც გერმანიას შეუძლიან. ეხლა მაინც უნდა შევიგნოთ, რომ „პატარა აზიელ ერთან“ (ასე ეძახოდა იაპონიას ზოგიერთი ჩვენებური გაზეთი) კი არა, დიდ, ძლიერ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე და ამ სახელმწიფოს საფრანგეთსა, ინგლისსა და ავსტრო-უნგრეთზე მეტი მცხოვრებელი ჰყავს. არც იმით უნდა ვინუგეშებდეთ თავსა, ვითომ იაპონიას ფული შემოჰკლებოდეს და ხალხი უფრო და უფრო ძლიერ უკმაყოფილებას უცხადებდეს მთავრობას, რადგან ომმა დიდხანს გასტანა და იაპონიის ჯარმა აქამდე საკმაოდ ვერ გაიმარჯვაო; ვითომ იაპონელებს ჯავრი მოსდიოდეთ, რატომ აქამდე პორტ-არტური აღებული არაა, გენერლებს სწუნობდნენ, აქამდე რუსის არმია რატომ რიგზე ვერ დაამარცხეს და ხან და ხან ძველებურ წესის თანახმად „ხარიკარი“-ს გაკეთებას ურჩევდნენ. ეტყობა, იაპონელებს თავიანთ მთავრობის ქცევის გარჩევისა და დაწუნების ნება აქვთ. იქაური მწერლები ისეთ თავხედობამდე მიდიან, რომ თითონ მიკადოს დანიშნულ და მოწონებულ გენერლებსა და მინისტრებს თავის მოკვლას ურჩევენ,—და დახეთ ასეთ თავისუფალ აზრების ასალაგმავად იაპონიის მთავრობა არავითარ ღონისძიებას არა ხმარობს. რუსულ გაზეთების კორესპონდენტები ირწმუნებიან, იაპონელებს არ მოსწონთ თავიანთი „გამარჯვება“, სჩივიან, რომ საქმე მეტად ნელა მიდის და უფრო ფიცხ და გაბედულ მოქმედებას თხოულობენ გამარჯვების დასაგვირგვინებლადაო. ნეტავ მაშინ რაღას იტყოდნენ, რომ იმათი გენერლები სულ არსად იმარჯვებდნენ და მხოლოდ მუდამ და ყველგან უკან დახევას სჯერდებოდნენ? თუ ზოგან ვალდებულად მიაჩნიათ, რომ ცნობები მუდმივ მარცხსა და უკან დახევაზე დინჯად და ჩუმად წაიკითხონ, განა ეს იმას ჰნიშნავს, რომ იქ ხალხი უფრო კმაყოფილია თავის მარცხით, ვიდრე იაპონელები თავიანთ გამარჯვებით?. იაპონელებს უფლება აქვთ თავიანთ მინისტრებსა და გენერლებზე მკაცრად სწერონ, მაგრამ აქედან სულაც არ გამოდის, ვითომ იაპონელები უარეს მდგომარეობაში იყვნენ იმათზე, ვისაც თავიანთ სამშობლოს საქმეზე ხმის ამოღების უფლება არა აქვთ. საზოგადოდ ჩვენი გაზეთები ასე ბევრს როდი უნდა სწერდნენ, ვითომ იაპონელები ამ ომის გამო გაცეცხლებულნი და გაბოროტებულნი იყვნენ, რადგან ეს ომი აქამდე ჩვენთვის გაცილებით უფრო უბედური იყო და მხოლოდ იმედებს გვიცრუებდა. თუ იაპონელები გატაცებითა და დიდის ყურადღებით ეკიდებიან ამ ომს, ეს თავდაპირველად იმით აიხსნება, რომ ამ ომს არსებითი, ეროვნული მნიშვნელობა აქვს იაპონიისათვის; იაპონელი პატრიოტები დარწმუნდნენ, რომ იმათ იმპერიის მომავალი ეხლანდელ ომის შედეგზეა დამოკიდებული და ამიტომ მზად არიან, ყოველნაირი მსხვერპლი შესწირონ, ოღონდ ეს ომი იაპონიის გამარჯვებით გათავდეს. როცა ერი ბრძოლისა და გამარჯვების სურვილითაა გამსჭვალული, ფულსაც მუდამ იშოვის ომისათვის. იაპონელები ამ ჟამად ისეთ გუნებაზე არიან, რომ ტოკიოს მთავრობა ზავისა და მორიგების ჩამოგდებას ვერ მოინდომებს.

ზავის მქადაგებელნი ევროპაში, ჩვეულებისამებრ, გულის წყრომით ლაპარაკობენ სისხლის ღვრაზე და ომის მოსპობას თხოულობენ, მაგრამ ისინი უდაბნოში ქადაგებენ და არც იმედი აქვთ, რომ იმათი ლაპარაკი მეომართ შეისმინონ. საფრანგეთის დეპუტატი და პუბლიცისტი, საზღვაო მინისტრად ნამყოფი, ლანესანი დიდხანს და ბეჯითად სწერდა გაზეთებში, დროა შუამავლობა გაუწიოს ვინმემ რუსეთსა და იაპონიასაო, მაგრამ ლანესანმა თანგრძნობა ვერსად მოიპოვა თავის განზრახვას. ოფიციალურმა „ტან“-მა არა ერთხელ გამოაცხადა გადაჭრით, რომ საფრანგეთის შუამავლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო. არც ის ხმები სჯერა ვისმე, ვითომ ვილჰელმ II ჩუმად ცდილობდეს რუსეთისა და იაპონიის შერიგებასაო. ამას წინად გაზეთები იტალიის მინისტრ-პრეზიდენტის ჯიოლიტისა და კანცლერბიულოვის შეხვედრის გამო სწერდნენ, ვითომ იტალიის მთავრობა აპირობს შუამავლობის გაწევასაო. შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა კონფერენციის მოწვევა მოინდომა ჰააგაში; თუმცა ამ კონფერენციის პროგრამა ჯერ ხელ-მიწევნით არ ვიცით, მაგრამ მაინც არა გვგონია, რომ ამ კონფერენციის დროს რუსეთ-იაპონიის ომზე ლაპარაკი ჩამოაგდონ... ჯერ იმედი არაა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა დამყარდეს“...

დიდ ოკეანის მეორე ესკადრა. დიდ ოკეანის მეორე ესკადრა სამ რაზმად მიდის შორეულ აღმოსავლეთს; ერთი დიდი, ძლიერი რაზმი ადმირალ როჟესტვენსკისა და ენკვისტის უფროსობით აფრიკის გარშემო მიდის, მეორე რაზმმა ადმირალ ფელკერზამის უფროსობით სუეცის არხი გაიარა; მესამე რაზმი ეხლახან გავიდა ბალტიის ზღვიდან და, როგორც დეპეშებიდან სჩანს, საფრანგეთის ნაპირებთან მისულა. ინგლისური გაზ. „დეილი გრაფიკ“-ი შემდეგსა სწერს ამ მესამე რაზმზე: „დიდ ოკეანის მესამე რაზმში სულ სწრაფ-მავალი, ახალი კრეისერებია, საათში 19-20 მილს გადიან. ეს გემები სადმე წინადვე დანიშნულ ადგილას ინდოეთის ოკეანეში ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას შეუერთდებიან, მერე ესკადრის წინ ივლიან და ადმირალ ტოგოს კრეისერებს პირველად ეს რაზმი შეჰხვდება. მესამე რაზმის კრეისერები იაპონიის ფლოტის დასაზვერად ეყოლებათ რუსებს. („რ.“).

როგორც დღევანდელმა დეპეშამ გვაცნობა, იაპონელებსაც გაუგზავნიათ სამი კრეისერი და 15 კონტრ-ნაღმიანი გემი რუსის ესკადრის დასაზვერად.

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. რა ამბავი მოხდება დიდ ოკეანეში, როცა იქ რუსეთისა და იაპონიის ფლოტი შეხვდებიან ერთმანეთს? საზღვარ-გარედ მეზღვაურთა და სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, რომ ისეთი „საშინელი ამბავი“ მოხდება, როგორიც ჯერ არც ერთ წარსულ ომის დროს არ მომხდარიყოს. ზოგი ჰფიქრობს, ადმირალ როჟესტვენსკის ბრძოლა ადმირალ ტოგოსთან საბოლოოდ გადასწყვეტს ომის ბედს, ზოგის აზრით-კი, ეს ბრძოლა ომის ბედს ვერ გადასწყვეტს, ეგ-კია, რომ ამ ბრძოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება და დიდ გავლენას იქონიებს ომის მიმდინარეობაზედ. ყველანი მოუთმენლად ელიან რუსისა და

იაპონიის ფლოტის შეხვედრას. უცხოეთის გაზეთები ორსავე ფლოტის ძალას იკვლევენ, ანგარიშობენ, ვინ რამდენ ზარბაზანს დაუშენს მოპირდაპირეს, იძიებენ, ვის უფრო ნიჭიერი ადმირალი ჰყავს და ეხლავე ცდილობენ გამოცნობას, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება.

უცხოეთის გაზეთების ანგარიშით, ადმირალ როჟესტვენსკისა და ადმირალ ტოგოს დიდ ოკეანეში თითქმის თანასწორ ძალის ფლოტი ეყოლებათ. რუსის ბაირაღი 6 ჯავშნიან გემსა, 4 კრეისერსა და 24 ნაღმიან გემზე იქნება გაშლილი; სულ რუსებს 151,704 ტონა წყალ-წყვის ფლოტი ეყოლებათ. უცხოელი მეზღვარები ამბობენ: „პორტ-არტურის ფლოტი, გინდ იმ დრომდე დარჩეს რამე კიდევაც ამ ფლოტიდან, ანგარიშში ჩასაგდები არაა. თუ მანამდე იაპონელები პორტ-არტურს აიღებენ, რასაკვირველია, გენ. სტესელი ამ გემებს ააფეთქებს, და თუ თავზე ხელს აიღებენ და ზღვაში გასვლას გაჰბედვენ, ან ადმირალი ტოგო ჩასძირავს ამ გემებს, და ან, თუ როგორმე ბედმა გაუღიმათ და გაქცევა მოასწრეს, რომელსამე ნეიტრალურ ფორტში უნდა შეაფარონ თავი და იარაღი აიყარონ. ასე მოხდება, თუ ისე, პორტ-არტურის ესკადრა რუსის ფლოტს ვერაფერ დახმარებას ვერ გაუწევს და ძალას ვერ მოუმატებს. პორტ-არტურის ესკადრაზე რუსის ფლოტისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს იმ სწრაფ-მავალ გემებს, ლიბავაში რომ დარჩნენ და ეხლა გაუდგნენ გზასა (დიდ-ოკეანის მეორე ესკადრის მესამე რაზმი). მესამე რაზმისა და ვლადივოსტოკის კრეისერებიც რომ ვიანგარიშოთ, რუსის ფლოტს დიდ-ოკეანეში სულ 241,704 ტონა წყალ-წყვა ექნება.

ეხლა ვნახოთ, რა ძალა აქვს იაპონიის ფლოტს. ადმირალ ტოგოს დაახლოვებით 4 ჯავშნიანი გემი, 7 ჯავშნიანი კრეისერი, 14 კრეისერი და 80 ნაღმიანი გემი ჰყავს, სულ 184,029 ტონა წყალწყვის ფლოტი ჰყავს, რუსის ფლოტს სულ 639 დიდი და წვრილი ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი და 80 ნაღმის სასროლი აპარატი აქვს. იაპონელებს ცოტა მეტი იარაღი აქვთ: 762 ზარბაზანი და 90 ნაღმის სასროლი აპარატი აქვთ. ეგაა იაპონელებს უფრო წვრილი ზარბაზანი აქვთ მეტი, დიდი ზარბაზანი-კი რუსებზე ნაკლები აქვთ: იაპონელებს 421 დიდი ზარბაზანი აქვთ, რუსებს 523.

მეზღვაურები რუსის გემებს 10 ათასი კაცი ჰყავთ, იაპონელებს—11 ათასი კაცი, რუსის ფლოტს წინამძღოლობენ ვიცე-ადმირალები როჟესტვენსკი და სკრიდლოვი და კონტრ-ადმირალები ფელკერზამი, ენკვისტი და ვესელაგო. იაპონიის ფლოტს წინამძღოლობენ, ვიცე-ადმირალი ტოგო და კონტრ-ადმირალები კამიმურა, დევა, დაშიბა, ურიუ, იამამატო, კატაოკა და ტოგო უმცროსი. რუსის ფლოტს ჯავშნიანი გემი ორით მეტი ჰყავს იაპონელებზე, მაგრამ უცხოელი მეზღვაურები ამბობენ, იაპონიის კრეისერებს მეტი ძალა და მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე რუსის კრეისერებსაო. ნაღმიანი გემები ორსავე მხარეს თითქმის თანასწორ ღირსებისა ჰყავთ; თუმცა იაპონელებს ცოტა მეტი ნაღმიანი გემი ჰყავთ, სამაგიეროდ რუსის ნაღმიანი გემები უცხოელ მეზღვაურებს უფრო ძლიერ გემებად მიაჩნიათ.

ერთი ინგლისელი მეზღვაური ჰფიქრობს, იაპონიის ფლოტი 9 თვეს სულ ზღვასა და ბრძოლაში ატარებს და ამიტომ ადმირალ ტოგოს ესკადრა „უფრო დაღალული“ იქნება, ვიდრე ადმირალ როჟესტვენსკისაო. იაპონიის გემები ეხლა ისე სწრაფად ველარ ივლიან, როგორც წინად დადიოდნენო. ჩინეთის ზღვის მლაშე წყალი ძლიერ ახდენს გემებს,—ეს ყველა მეზღვაურმა იცისო.

რა მოუვათ რუსის გემებს გზაში და რა ყოფაში იქნებიან, როცა შორეულ აღმოსავლეთს ჩავლენ, ამაზე აქ არას ვიტყვით, ეგაა რუსებს ზარბაზნები-კი სულ ახალთ-ახალი, ხელ-უხლებელი ექნებათ: მართალია ადმირალი ტოგოც შეაკეთებს თავის ზარბაზნებს, მაგრამ იმის ზარბაზნებს მაინც წინანდელი ძალა აღარ ექნებათ. ყველა დიდ ზარბაზნის გამოცვლა და ახლების დადგმა გემებზე შეუძლებელია; ორიოდე გემზე თუ დასდგამდნენ ახალ ზარბაზნებს, თორემ მეტზე ვერა.

ეხლა ვნახოთ, ვის როგორი ადმირალები ჰყავთ. ადმირალი ტოგო უცილობლად გულადი, მოხერხებული და ნიჭიერი მეზღვაურია. თავისი მოვალეობა და მინდობილი საქმე კარგად შეასრულა: პორტ-არტურის ფლოტს ძალა და მნიშვნელობა დაუკარგა, პორტ-არტურის ნავთ-სადგურს ალყა შემოარტყა, სატრანსპორტო გემებს ზღვაში თავისუფლად სიარული შეაძლებინა, ერთის სიტყვით იაპონია ზღვაში გაბატონა. ადმირალ მაკაროვის დაღუპვამ და რუსის ესკადრის დამარცხებამ დიდი სახელი მოუპოვეს ადმირალ ტოგოს.

დიდ ოკეანეს მეორე ესკადრის ადმირალი როჟესტვენსკი წინამძღოლობს. უცხოელი მეზღვაურები ადმ. როჟესტვენსკისაც გამოჩენილ მეზღვაურად სთვლიან, მეტად გულმტკიცე, დინჯი და ამავე დროს გაბედული კაციაო. („რ. ლ.“).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილში იაპონიის ფლოტის გემები სწორედ არაა ნაანგარიშევი. ადმირალ ტოგოს 8 ჯავშნიანი კრეისერი ჰყავს და არა 7, ნაღმიანი გემიც 30-ზე გაცილებით მეტი უნდა ჰყავდეს. დასასრულ, იქნება პირველ კლასის ჯავშნიანი გემიც 5 ჰყავდეს და არა 4, რადგან „იაშიმა“-ს დაღუპვის ამბავი ბევრს არა სჯერა.

ახალი ამბავი

◆ 8-დან 15 ნოემბრამდე ერევნის გუბერნიაში **ხოლერა მძვინვარებდა** შემდეგ ადგილებში: ნახიჩევანის მაზრაში ავად გახდა 113 კაცი, მოკვდა 77, მორჩა 17; შარურო-დარალაგეზის მაზრაში: ავად გახდა—278, მოკვდა—284 (წინანდელი ავადმყოფებიანა) მორჩა—49; ერევნის მაზრაში: ავად გახდა—399, მოკვდა—294, მორჩა—55; ქალაქ ერევანში: ავად გახდა—112, მოკვდა—66, მორჩა—21; ეჩმიაძინის მაზრაში: ავად გახდა—5, მოკვდა—4, მორჩა—1; ახალ ბაიაზეთის მაზრაში: ავად გახდა—7, მოკვდა 8 (ერთი წინანდელი ავადმყოფი იყო); ალექსანდროპოლის მაზრაში ავად გახდა ერთი კაცი. ამ რიგად მთელ ერევნის გუბერნიაში ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა—915 კაცი, მოკვდა—733 და მორჩა—143 კაცი. 15 ნოემბერს ბაქოსა და ბალახანაში ავად გახდა ოთხი კაცი. არავინ მომკვდარა. ამავე დღეს ბაქოს გუბერნიაში ავად გახდა 11 კაცი, მოკვდა—6 კაცი. 17 ნოემბერს აჯიქაბულის სადგურზე ორი კაცი გახდა ავად. ორივე მაზრაში გაგზავნეს და იქაურ საავადმყოფოში დააწვინეს.

◆ უკვე რამდენიმე თვეა, რაც **რკინის გზის მომმარებელმა საზოგადოებამ** განჯას, ბაქოს, აჯიქაბულს, ხაშურსა და ყვირილას დახურა თავისი სავაჭრო მაღაზიები. რკინის გზის მოსამსახურენი ამის გამო დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ. ეხლა ხაშურის მოსამსახურეთ მიჰმართეს რკინის გზის უფროსს და სთხოვეს, ნება მოგვეცით ჩვენ თვითონ საზოგადოების დაუხმარებლად გავხსნათ მაღაზიაო. გზის უფროსმა მისწერა ხაშურის უფროს მოსამსახურეებს, ერთმანეთში მოილაპარაკეთ და შედეგი მაცნობეთო. ფიქრობენ, იმ სადგურებზე, სადაც წინად იყო, ხელად ახლად გახსნან მაღაზიები.

◆ 17 ნოემბერს მოხდა კრება საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც ტფილისში განზრახულ **საბალნეოლოგო სადგურის** გამო მოხსენების შედგენა აქვს მინდობილი. კომისიამ მოისმინა კავკასიის სამკურნალო ნაწილის მოწერილობა ცხელ წყლების რაიონის შემოსაზღვრის შესახებ. ქალაქის თვითმმართველობას აზრადა აქვს შეისყიდოს ან იჯარით აიღოს ტფილისის აბანოები და გამართოს საბალნეოლოგო სადგური. კომისიამ მიიღო წინადადება სამკურნალო გამგეობისა და დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, გადასდოს 2000 მან. გეგმის გადასაღებად და სხვა სამუშაოებისთვის. შემდეგ ექიმმა ლუნკევიჩმა წაიკითხა მოხსენება ამავე საგნის შესახებ. ამასთან ლუნკევიჩმა კრებას წარუდგინა პროგრამა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ საქმის განხორციელების დროს. კრებაზე ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ შევისყიდოთ აბანოები და სადგურის შენებას შევუდგეთო. აბანოების დაგირავება შეგვიძლიან და მით აღებულ ფულით პატრონებს დავაკმაყოფილებთო. ზოგმა ის სთქვა, რომ ჯერ აბანოების პატრონებს მოველაპარაკოთ, ყველაფერი გამოვარკვიოთ და მერე შევუდგეთ სადგურის გამართვასაო. კრებამ დაამტკიცა პროგრამა და დაადგინა, დაბეჭდოს მოხსენება ლუნკევიჩისა, შეადგინოს გეგმა სადგურისა და შემდეგ შეუდგეს არსებით საკითხის განხილვას.

◆ სამი დღეა **რუსეთის ფოსტა არ მოსულა** და ამ ხნის განმავლობაში არც გაზეთები მიგვიღია. შეიძლება მკითხველმა არც-კი იცის, რომ ფოსტა ისევ ძველის გზით—საქართველოს სამხედრო გზით—დაიარება და არა რკინის გზით. ამის გამო, როცა გზაზე ზვავი ჩამოწვება ხოლმე, ფოსტა რამდენიმე დღეს იგვიანებს. ეხლაც ასე მოხდა, როგორც გვატყობინებენ, ზვავი დიდ მანძილზე ჩამოწოლილა და შესაკეთებლად რვა-ცხრა დღეა საჭირო. გუშინ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა განკარგულება მოახდინა, სანამ საქართველოს გზა შეკეთდებოდეს, ფოსტა რკინის გზით მოვიდეს.

◆ ტფილისის საგუბერნიო **სამხედრო ბეგრის საკრებულოს** სახელზე კვლავ შემოვიდა **სამოცამდე საჩივარი** სამაზრო სამხედრო ბეგრის საკრებულოებიდან. ახლად კენჭ-ნაყრები ყმაწვილები კმაყოფილნი არ არიან ექიმების შემოწმებით. ამ საჩივრების განხილვა და ამ ყმაწვილ კაცთა შემოწმება დანიშნულია 23 ნოემბრისათვის.

◆ ტფილისის საგუბერნიო ტეხნიკოსების თანადასწრებით, დღეს, 19 ნოემბერს, ნაშუადღევს 4 საათზე, გამოსცდიან ბელგიის უსახელო საზოგადოების **ელექტრონო ტრამვაის** ვაგონებს. გუშინ უსახელო საზოგადოების დირექტორმა ხელ-ახლა სთხოვა ქალაქის გამგეობას, დააჩქაროს გზის შემოწმება.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ **შავი ქვის მრეწველთა** საგანგებო კრებამ აარჩია განსაკუთრებული დეპუტაცია შავი ქვის მრეწველობის საჭიროებათა შესახებ შუამდგომლობების აღსაძვრელად. ეს დეპუტაცია უკვე ჩასულა პეტერბურგს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსი ამ დღეებში ბაქოს შტოს სადგურების სარევიზიოდ იყო. რევიზიამ ბევრი რამ ისეთი აღმოაჩინა, რაც ხელს უწყობს **სადგურების ანტისანიტარულ მდგომარეობას.** ამის გამო რკინის გზის უფროსმა მისწერა უფროს მოსამსახურეთ ლიანდაგზე, სასტიკად დაიცვან სასანიტარო წესები.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს დააარსოს **ტფილისში ყრუ-მუნჯთა სკოლა** სკოლაში მიიღებენ მხოლოდ რკინის გზის მოსამსახურეთა ყრუ-მუნჯ შვილებს. ამ ჟამად გამგეობა ცნობებსა ჰკრებს ყრუ-მუნჯთა რაოდენობის შესახებ.

◆ **ტფილისის მეპურეების** განცხადება ნიხრის მომატების შესახებ 17 ნოემბერს განიხილა საბჭოს კომისიამ და უყურადღებოდ დასტოვა. ამასთან კომისიამ დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორს, დაავალოს პოლიციელებს თვალყური ადევნონ, რომ მეპურეებმა არ დაარღვიონ ქალაქის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი.

◆ 17 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერებისა, რომელნიც **უსახელო საზოგადოებას 200,000 მანეთს ედავებიან.** მომჩივანთა ვექილმა პალატას წარუდგინა საბუთის ქაღალდები. უსახელო საზოგადოების ვექილმა პალატას სთხოვა, დრო მომეცით გავშინჯო ეგ საბუთებიო. პალატამ შეიწყნარა ეს თხოვნა.

◆ 16 ნოემბერს **ბათუმში აკურთხეს** ბათუმის ვაჟთა გიმნაზიასთან ახლად აგებული ეკკლესია.

◆ **ჯარში გაწვევა** დამთავრდა ბათუმის ოლქსა და ოზურგეთის მაზრაში. ოზურგეთის მაზრიდან მიიღეს 359 კაცი, ბათუმის ოლქიდან—9 კაცი, ართვინის ოლქიდან—15 კაცი.

◆ **კავკავში აარსებენ საკომერციო ცოდნათა კურსებს.** დამარსებლებს, ნაფ. ვექილებს როზენბლიუმს, ფაივიშევიჩს, ბაევს, კავკავის საურთიერთო კრედიტის თავმჯდომარეს თავ. ლორთქიფანიძეს და სხვებს, უკვე აღუძრავთ შესაფერი შუამდგომლობა.

◆ 26 ნოემბრისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა ალექსი გეგეჭკორისა, ფილიპე მამინაიშვილისა და კალისტრატე ხედაიასა, რომელთაც ექიმის ნიქოვანის სახლში შეპარვა და გაძარცვა ბრალდებათ.

◆ 17 ნოემბერს სადამოთი ქუთაისიდან ტფილისს ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი ა. ა. სმაგინი.

◆ 17 ნოემბერს, დილის 10 საათზე, თავ. ილია გედევანიშვილისთვის ქურდს სულეიმან მამადი მამედ-ჰუსეინ ოღლის მოუპარავს ხალიჩა და გაქცეულა, მაგრამ დაუჭერიათ.

◆ სადგ. უჯარა. 16 ნოემბერს გეოგჩაის მაზრის სოფ. ტურკმამის მცხოვრებმა განუცხადა რკინის გზის ჟანდარმობას, რომ რკინის გზის მე-593 ვერსზე მატარებლის კონდუქტორმა ხელი მკრა და ვაგონიდან ჩამომაგდო; ჩამოვარდნის დროს ვაგონის ქვეშ მოვყევ და თელებმა მარჯვენა ფეხი მომჭრესო.

◆ სადგ. ულუხანლუ. 16 ნოემბერს, როდესაც ერთი ადგილიდან ბოძები გადაჰქონდათ, ერთი ბოძის აწევის დროს ძალიან დაშავდა კონდუქტორი ლავრენტი ჭედია. დაშავებული ერევნის ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სად. ალიათი. 16 ნოემბერს, როდესაც მატარებელი № 5 აჯიქაბულიდან წავიდა, რკინის გზის სამსახურიდან დათხოვნილმა ხელოსნად ნამყოფმა ევდოკიმოვმა თავში ორს ადგილს დასჭრა მეორე ნაწილის საქმის მწარმოებელი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ მოსკოვის ქუჩაზე იმ დროს, როცა ვალანდაძის შვილის საწყობში მედროგეს კაპიტონ სიხარულიძეს დროგი შეჰქონდა, ეზოს კარებში 11 წლის ქალი ელენე შირინკოვი დროგმა ქვეშ მოიტანა და ძლიერ დაშავა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 16 ნოემბერს შამხორის სამრევლო საეკლესიო სკოლის აივანზე მდგარა მოწაფე არშაკ არუთინოვი და მესამე სართულიდან ეზოში გადმოვარდნილა და ძლიერ დაშავებულა. ბავშმა ერთი ფეხი მოიტეხა და ისე დაიეჟა, რომ იმისი მორჩენა საეჭვოა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 16 ნოემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში, მირზახანოვის სახლში, პავლე გუგუშვილის ბინაზე, შინ არ ყოფნის დროს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ ოქროს საათი, ბეჭედი ოქროსი, ოქროს ბეჭედი ბრილიანტით და სხვ. აგრეთვე ფულად 75 მანეთი.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში პოლიციელებმა 15 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, დააპატიმრეს რაჭის მაზრის მცხოვრებნი აზნ. მალაქია ყიფიანი და სოსიკო სადღრაძე, რომელთაც პარალელნი ქუჩაზე სამოვარი მოეპარათ და მიჰქონდათ. სამოვარი აღმოჩნდა ვ. გურცევიჩისა. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

◆ სიღნაღის მაზრაში ნოემბრის პირველ ნახევარში შემდეგი ამბები მოხდარა: 1. სოფ. კარდანახში ბაღში ორი ვიღაც უცნობი კაცი თავს დაეცა ადგილობრივ მცხოვრებს ნიკოლოზ რაზმაძიშვილს, ესროლეს თოფი, დასჭრეს სასიკვდილოდ, მოხსნეს ვერცხლის ქამარი და გადაიკარგნენ; 2. ამავე სოფელში ადგილობრივმა მცხოვრებმა სოლომონ ყარყატაშვილმა ჩხუბის დროს დასჭრა სასიკვდილოდ ხანჯლით მუცელში თავისავე ერთსოფლელი თეოდორე ფრიდონაშვილი; 3. სოფ. ვეჯინში, თელავ-სიღნაღის გზატკეცილს ახლოს, ვიღაც შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი თავს დაესხნენ სიღნაღის მო-

ფელეტონი

რუსეთის ცხოვრება

გაზეთ „რუს“-ის 319 ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებული იყო ერთი წერილი სათაურით „ჩვენ ძმებს პოლონელებს“. ამ წერილში შემდეგი გრძნობიერი და გონიერი ადგილი იყო: „უცილებელი და ბუნებრივია, რომ სისხლით შეღებილ თანამშრომლობასა და ერთობას სიკვდილში ბრძოლის შორეულ ველზე აქ, სახლში, მოჰყვეს ისეთივე მეგობრული თანამშრომლობა მხოლოდ სიცოცხლისათვის და არა სიკვდილისათვის. ნუ თუ ჩვენ, ვისაც სიცოცხლე აგვიწერია, არ მივეცემით ერთმანერთს ხელს ისე, როგორც ამას სჩადიან ჩვენი ძვირფასი ახლობელნი, ბრძოლის ველზე რომ მიდიან?“

შემდეგ გაზეთი ამბობდა, რომ დადგა უკეთესი დრო, როცა უფრო თამამად და გულახდილად შეიძლება გულისნადების გამოთქმა და მაშასადამე შეთანხმებაც.

ერთის სიტყვით, „რუს“-ის რედაქცია, გულწრფელად მოწადინებული რუსების პოლონელებთან შერიგებას, თანაგრძნობას უცხადებდა მონათესავე ხალხს და აწვევდა მას გულახდილ მოსალაპარაკებლად, რათა ამ შერიგებისა და შეთანხმებისათვის საფუძველი დაედო.

გავლენიან გაზეთის ასეთ მიმართვას უპასუხოდ არ დასტოვებდა, რასაკვირველია, რუსეთის პოლონეთის პრესაც, მაგრამ აი თურმე რა მოხდა: ვარშავის გაზეთებს ყველას გადაუთარგმნია „რუს“-ის წერილი, წარუდგენიათ, სადაც ჯერ არს, და ვეღარ დაუბეჭდიათ. ეს ამბავი დაუყოვნებლივ შეატყობინეს ხსენებულ რუსულ გაზეთის რედაქციას და ესეც პატეტიურად იძახის—„ჩვენის თვალების არ გვჯერა“-ო, ალბად, „ნედორაზუმენიე“ არის და მალე დაგინახავთ ჩვენ წერილს პოლონურ გაზეთებშიო (№ 330).

არ ვიცი, შეიძლება, „რუს“-ის მოლოდინი გამართლდეს, შეიძლება, არ გამართლდეს, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის ისე ეს უკანასკნელი გარემოება (რუსულ გაზეთის წერილის გადმოუთარგმნელობა) არ უნდა იყოს საკვირველი, როგორც პირველი—გავლენიან რუსულ გაზეთის ასეთი მიმართვა პოლონელებისადმი.

მართალია, ჩვენთვის გაუგებარი უნდა იყოს ასეთი ლმობიერება და სამართლიანობა იმ პოლონელების შესახებ, რომლებზედაც დიდი წილი მწერლობისა ყოველთვის ან კბილთა ღრჭენით ლაპარაკობდა ან და მწარე დაცინვით. დღეს პოლონელი პატივცემულია. იგი სწორ-უფლებიან მოქალაქედ მიაჩნიათ და თითქმის შესაფერადაც ეპყრობიან.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქართველს ეგრე არ მიჰმართავენ, არც ეგრე პატივს სცემენ და ამის ერთად-ერთი მიზეზი ის არის, რომ პოლონელმა იცის თავისი ფასი, ესმის თავისი უფლება, უფლების დაცვის ფასიც იცის.

ეს ბევრ რუსსაც ვერ შეუგნია, არა თუ ქართველს.

სულ ცოტა ხანია, რაც „მონურ“ ენას დაცინვა და ძაგება დაუწყეს, და უკვე დამცველებიც აღმოუჩნდნენ მას, რასაკვირველია, ურჩხულ მოლოდინის შიში. მოსკოვური გაზეთი „რუსკოე სლოვო“ სწერს: „ერთი ნამცეცი თავისუფლათ ამოსუნთქვა გვედირსა, ცოტა რამეს ვამბობთ ისეთს, რასაც წინად ვერ ვამბობდით, და უკვე სასტიკად დაუწყეს კიცხვა „მონურ“, ეზოპისებურ ენას, რომელიც გამეფებული იყო წინა ხანის ლიტერატურაში. ეს მონური, ეზოპისებური ენა ტყუილად და მოუფიქრებლად შეურაცხჰყვეს; ჯერ პრაქტიკულ მოსაზრების მხრივაც არ უნდა გვეგდო იგი: დღეს ცოტა უფრო მეტი სინათლეა, მაგრამ სად არის გარანტია, რომ შემდეგშიაც ეს სინათლე იქნება ან გაძლიერდება იგი; ხვალ, შეიძლება, ჩამობნელდეს ისევ... ვეღარ ვილაპარაკებთ პირდაპირ და ისევ დაგვჭირდება მონური, ეზოპისებური ენა.

როცა გაზაფხულის მოტრფიალენიც-კი ასეთ შიშს შეუპყრია და ეხლავე ასეთის ძრწოლით შესცქერიან სულ ახლო მომავალს, ნუ თუ უფლება არა აქვთ იმპრესიონისტის („ნოვოსტის“ თანამშრომელია, №311) უარნებს იწინასწარმეტყველონ, „რომ უცებ ეს (გაბედული ლაპარაკი) დროებითია, რომ დადგება ისევ რეაქცია და გაზეთებიც ჩვეულებრივ, მოწყენილ სახეს მიიღებენ“.

არ შეიძლება, ეს მოხდეს, სწერს იგივე იმპრესიონისტი, რადგან „ფლიუგერი-გაზეთები“, რომელნიც მიჩვეული არიან ჯერ მაღალ სფეროების აზრი გაიგონ და მერე გამოთქვან თავიანთი აზრით, დღეს ეს გაზეთებიც-კი ჰფიცავენ—ჩვენ ყოველთვის ლიბერალები ვიყავითო.

საბუთი დამარწმუნებელი და მანუგეშებელი მაინც და მაინც ვერ არის, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ხსენებულ „ქარიან“ გაზეთების მდგომარეობა დღეს-დღეობით სახარბიელო ვერ არის, და არც საკვირველია: ორპირობა, ფლიდობა და ორ სკამ შუა ჯდომა ერთხელ არის მაინც სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდებს კაცს და საბოლოოდ დაუკარგავს ზნეობრივ კრედიტს.

„ნოვოე ვრემია“-ს ჩვენი საზოგადოებაც კარგად იცნობს. წინად, როცა სულ სხვა ქარი ჰქროდა, ეს გაზეთიც სხვას გაიძახოდა, თუმცა წინდახედული სუვორინი, მომავალის შიშით ხანდახან ისეთ ჰანგებზე ამღერებდა თავის ორგანოს, რომ მარჯვენივაც და მარცხნივაც განცვიფრებაში იყვნენ. ჩვეულებრივი, დაუკვირვებელი მკითხველი ამას ვერ ამჩნევდა და „ნოვოე ვრემია“-ს „გრაჟდანინ“-ისა და „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს თანამოაზრედ ხდიდა.

დღეს თითქმის გარემოება გამოიცვალა, სუვორინიც დატრიალდა და ძველ, ჩვეულებრივ ყორნისებურ ჩხავილს აქა-იქ თუ გაიგონებთ. ის მენშიკოვი, რომელმაც „იუდუშკა“-ს სახელი საბუთიანად დაიმსახურა რუსეთის მწერლობაში, დღეს ისეთ წერილებს ბეჭდავს, რომ გაბედულებითა და ფხიზელ შეხედულებით ქვეყანას აკვირვებს.

ასეთი ერობაში ცვლილება მეტად გავრცელებულ და ვითომდა ნახევრად ოფიციოზურ გაზეთისა ბევრს სანუგეშო ნიშნად მიაჩნია, როგორც ზემოდ დავინახეთ, მაგრამ ეს, როგორც ვსთქვით, ნუგეშისა და იმედის საბუთად არა კმარა, „ნოვოე ვრემია“-სა და სუვორინის დასახასიათებლად კი სავსებით საკმარისია: ეხლა თვით ბრმამაც კი დაინახა, რომ ამ გაზეთს არ გააჩნია არც საკუთარი აზრი და არც საკუთარი პრინციპი; იმ ჰანგზე დაგიწყებს სიმღერას, რომელიც უფრო მოდაშია; არაფერს არ დაგიდევთ, ოღონდ ტირაჟი დიდი იყოს და შაურიანები არ დააკლდეს სუვორინის სავსე ჯიბეს.

ვერ ვიტყვით, რამდენად მართალნი არიან დღევანდელი ოპტიმისტები რუსეთის ცხოვრებისა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ მოკლე დროშიც ზოგი ისეთი ფაქტი გამოცხადდა, რომელიც წინად დღის სინათლეს იშვიათად თუ დაინახავდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში 8 ნოემბერს შესდგა პირველი სხდომა სამეცნიერო-ლიტერატურო საზოგადოებისა (სტუდენტების საზოგადოება). ამ სხდომაზე ბატონ მაქსიმოვს წაუკითხავს ფრიად საინტერესო მოხსენება—„საზოგადო სამუშაებანი რუსეთში“ (ისტორიული მიმოხილვა).

როგორც ვიცით, რუსეთს საშინელი უბედურება სჭირს—პერიოდული მოუსავლობა და პერიოდული შიმშილობა. ამიტომაც არის, რომ რუსეთში კარგა ხანია ერთ ღონისძიებას მიჰმართავენ ხოლმე დამშეულ ხალხის დასახმარებლად; რაკი ამდენა ხალხის მოწყალებით გამოკვება შეუძლებელია, სახელმწიფო ამუშავებს გლეხობას რამე საზოგადო სასარგებლო საქმეზე (საშოსე გზების გაყვანა, არხების გაკეთება და სხვა) და ამ მუშაობაში ქირას აძლევს. მაგრამ რაკი მთავრობის ასეთ ცდას ყოველთვის ბიუროკრატიული ხასიათი ჰქონდა, ამიტომ შედეგიც მუდამ სამწუხარო იყო ხოლმე. თოხმოცდაათიან წლებში 1891—92 წლის შიმშილობის დროს მთავრობამ დაიწყო მეტად დიდი საზოგადო სამუშაონი. ამ საქმის ორგანიზაციაში მთავარი როლი ჰქონდა გენერალ ანენკოვს (უკვე გარდაცვლილია). მთავრობამ მთელი თხუთმეტი მილიონი გადასდო ამ საქმისათვის და ამდენა ფულიდან დამშეულ გლეხებამდე მიაღწია მხოლოდ ხუთმა მილიონმა. როცა გლეხები საჩივარს შეიტანდნენ ხოლმე ანენკოვის უკანონო მოქმედებაზე, გენერლის ბრძანებით მომჩივნებს როზგავდნენ.

მართალია, ბოლოს გამოაშკარავდა ბოროტ-მოქმედება და გენერალი ანენკოვიც პასუხის გებაში მისცეს, მაგრამ ამით საქმეს არ შველდება. თუ იგივე წესი დარჩება საქმის წარმოებისა, ასეთი ბოროტ-მოქმედება ყოველთვის მოსალოდნელია და ერთის დასჯა არ არის საკმარისი ღონისძიება სხვების შესაშინებლად, რადგან ერთი თუ ისჯება, სამაგიეროდ ათი დაუსჯელი რჩება საზოგადოებისა და მწერლობის მხრივ უკონტროლობის გამო. სანამ ეს კონტროლი არ იქნება, ანენკოვისებური ისტორია ყოველთვის მოსალოდნელია.

მოგეხსენებათ საპოლიციო საერობო დარაჯები, მდაბიურად „სტრაჟნიკები, საკუთრივ რუსეთშიც შემოიღეს ჩვენ შემდეგ, თუმცა ბევრი არ თანაუგრძნობდა ამ ახალ „ინსტიტუტს“. არ თანაუგრძნობდა, მაგრამ უფრო მეტ წილად წყალი ჰქონდა პირში დაგუბებული. დღეს კი „გდაზოვის სამაზრო ერობამ, მოისმინა რა ხმ. მაქსიმოვისა და დურკოვის საგანგებო მოხსენება, დაადგინა—აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ საპოლიციო დარაჯების რაზმი გდაზოვის მაზრაში ნახევრად შემცირდეს და ის ფული, რომელიც დარჩება მთავრობას ასეთ ოპერაციისაგან, გადაეცეს ერობას სახალხო განათლების საჭიროებისათვის“. რა იყო საბუთი, ერობის ასეთ დადგენილებისა? „კოსტრ. ფურცლის“ სიტყვით, შემდეგ მოსაზრებას ადგა ერობა: საპოლიციო დარაჯების შენახვა გდაზოვის მაზრაში უჯდებოდა მთავრობას 45 ათასზე მეტი, მაზრა კი არ საჭიროებს ასე გაძლიერებულ დაცვას; აქ მცხოვრები ხალხი უვიცი, უკულტურო და გაუნათლებელია; პირველი მისი არსებითი მოთხოვნილება განათლებაა; განათლება აამაღლებს ხალხის კულტურას, განავითარებს მასში პატივისცემის გრძნობას სამართლიანობისა და კანონიერებისადმი; ამ წელში შემოღებული საპოლიციო მეთვალყურეობა, „სტრაჟნიკების“ სახით ამ საქმეს ხელს ვერ უწყობს („ნოვოსტი 311).

ბევრი დაეთანხმება გდაზოვის სამაზრო ერობას.

ქალაქის მიხეილ ტერ-მათეუზოვის სახლს, გასტეხეს სახლი და გაიტაცეს ას თუმნამდის ღირებული ძვირფასი ნივთეულობა; 4. ამავე სოფელში საფოსტო გზასთან ვიღაც ბოროტ პირებმა სასიკვდილოდ დასჭრეს თოფით მიხეილ ტერ-მათეუზოვის ბაღის მეველე სოსიკო ქემაშვილი; 5. სოფ. ნუკრიანის მცხოვრების წყალობ ჟუჟუნაშვილის სამ სახლს დიდი ცეცხლი გაუჩნდა; ზარალი 3000 მანეთს უდრის. 6. სოფ. ჩაილურში ადგილობრივ მცხოვრების ალლახვერდი-ჯუდა-მერდი-ოღლის სახლს დაეცა სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი და დაიწყო სახლში თარეში; სახლის პატრონმა სტუმრებთან ერთად წინააღმდეგობა დაუწყო; ასტყდა თოფის სროლა; ბოროტ-მოქმედებმა სასიკვდილოდ დასჭრეს თავში თვით სახლის პატრონი და იმისი სტუმარი მამიშ-ოღლი და გაიქცნენ; მათი კვალისთვის ჯერაც ვერ მიუგნიათ; 7, სოფ. ყანდაურში ხარჯის მკრეფავს ამანათ ლევაშვილს ხარჯის აკრეფის დროს ჩხუბი მოუვიდა თავისავე ერთ სოფლელთან ნიკოლოზ ხორბალაძესთან და ლევან გამყრელიძესთან, რომელნიც სთხოვდნენ ფული დაცლას; ხარჯის მკრეფავმა მიმართა კეტს და ხორბალაძეს თავი გაუტეხა, ხოლო გამყრელიძე მუცელში დასჭრა და წელები გადმოაყრევინა; 8. სოფ. ალექსანდროვკაში ადგილობრივ მცხოვრებთ ვასილ და სტეფანე კუდინოვებმა მტრობით კეტებით მძიმედ დასჭრეს თავში პეტრე ბიკოვი; 9 სოფ. ზიარში დავით ბაზიერაშვილს ვიღაც ბოროტ-პირებმა 700 მანეთად ღირებული მსხვილ-ფეხა საქონელი მოჰპარეს; 10. სოფ. ტიბაანში ძლიერი ცეცხლი გაჩნდა ბასიკო ნატროშვილის ორ საქონლით სავსე ბოსელს და ერთ პირნახულით სავსე საბძელს; ზარალი 3000 მანეთს უდრის; ეჭვი მიიტანეს ადგილობრივ ცხოვრებ გიო ხატიაშვილზე.

პრესსა

რეაქციონური პრესსა, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ცეცხლს ჰყრის პირიდან იმის გამო, რომ ცოტა უფრო თამამად და გაბედულად ლაპარაკობს საუკეთესო ნაწილი რუსულ პერიოდულ გამოცემებისა. „სამშობლო განსაცდელშია! იაპონიის მოკავშირეებმა (ლიბერალებმა) თავი მაღლა აიღეს და ქვეყნის დაქცევას ლამობენ. დროა, მიაქციონ ამას ყურადღება, ვისაც ჯერ არს, და შესაფერი სასტიკი ღონისძიება მიიღოს!“ ამას მთავრობას ეუბნებიან და, რაც შეეხება რუსეთის საზოგადოებას, თავად-აზნაურობას იწვევენ სამოქმედოთ „შინაურ მტრის“ წინააღმდეგ.

„მოსკოვსკია ვედომოსტი“ სწერს (289): „თავად-აზნაურობას არ შეუძლია და არც უნდა აიტანოს კრიტიკა-კი არა, დამცირება სახელმწიფო წესწყობილებისა, კანონისა, წესისა.“

სად ან რაში გამოიხატა ეს დამცირება სახელმწიფო წესწყობილებისაო,—ჰკითხავს გაბრაზებულ მოსკოვურ გაზეთს „ვესტნიკ ევროპი“ (11).

> ჟურნალებისა და გაზეთების წერილებშიო,—განაგრძობს ჟურნალი,—რომელნიც ცენზორის ნების დაურთველად გამოუქვეყნებიათ! ჩვენ კი გვაწმუნებენ, რომ მწერლობის ასეთი მიმართულება და ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება ერთად შეუძლებელი არისო. და აი ქვეყნის ამ მშვიდობიანობის დასაცველად იწვევენ თავად-აზნაურობას „აღსდგეს მთელის თავის პოლიტიკურის სიმაღლით და გამოსთქვან ერთი პროგრამმა“, მარშლებისაგან შედგენილი.
>
> მაგრამ ასე დიდი კია თავად-აზნაურობის პოლიტიკური სიმაღლე, რომ, რაკი გაიმართება, შესძლოს შემზარავ შთაბეჭდილების მოხდენა? თავად-აზნაურთა კრებებს ვერ გამოუჩენია იმდენი ფხა, რომ რუსეთს ყური ეთხოვოს მის ხმისათვის. კერძოდ თავადსა და აზნაურს ცოტა არ გაუკეთებია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა-და-სხვა ასპარეზზე; მაგრამ ტყუილი შრომა იქმნებოდა სათავად-აზნაურო კორპორაციების მოღვაწეობის კვალის ძებნა ჩვენს წარსულშიო...

თეატრი

ქართული დრამა („საქმის კაცი“, მირბოსი. 17 სექტემბერი). ისა სჯობია თურმე, რომ ისევ „ჟიბგირი“ და „კოვერლეის მკვლელობა“ დადგან ჩვენმა მსახიობებმა. სულ ტყუილად გსაყვედურობდით აქამდე, რატომ ახალ, შინაარსიან პიესებს არ გაგვაცნობთ. ჩვენს არტისტებს უფრო სცოდნიათ თავიანთი ძალა და უნარი, ვიდრე ხსენებულ მოსაყვედურეთ. ახალ შინაარსიან პიესას შრომა უნდა და დაკვირვება და ეს-კი დიდი ხანია აღარ ეხერხებათ ქართველ მსახიობთ; ერთხელვე შეთვისებულ ადათს აბა როგორ დაანებონ თავი!

„საქმის კაცის“ წარმოდგენაზე თავმოყრილი, შექუჩებული იყო ყველა „ღირსებანი“ ქართულ თეატრის ქურუმებისა: გარდა ნხეიძის ქალისა და ივანიძისა, არც ერთმა როლი არ იცოდა—ყველაფერს ლაპარაკობდნენ გარდა იმისა, რაც პიესის ტექსტში იყო; პიესა შეკვეცილ-დამახინჯებული იყო, განსაკუთრებით უკანასკნელი, მესამე მოქმედება—გამოუშვათ მთელი ის ადგილი, რომელიც აზრსა და დანიშნულებას აძლევს ამ აქტს; არც რეჟისსორისა და არც სცენარიუსის ხელი არ ეტყობოდა წარმოდგენას; ჩაცმა-დახურვა შეუფერებელი იყო. ერთის სიტყვით, მირბოს აზრიანი პიესა რაღაც უხეირო სცენებად უჩვენეს საზოგადოებას.

კოტე მესხს ისიდორ ღეშას როლი კარგად მოესაზრა, მაგრამ რა გამოვიდა, რომ ერთი ნამდვილი ტექსტიდან ამოღებული სიტყვა არ გაგვეგონა მისგან. ნხეიძის ქალმა როლი კარგად იცოდა, მაგრამ ამას პირველ რიგზე მსხდომნი თუ შეამჩნევდნენ; დანარჩენებს აქა-იქ თუ ესმოდათ მისი ლაპარაკი, და ეს მით უფრო საწყენია, რომ ჟორჟინის როლი, ჩვენის შეხედულობით, [illegible] ნხეიძის ქალის ნიჭის შესაფერია.

გუნია დეშარსელეს როლს თამაშობდა, მაგრამ სულ იყო სცენაზე დეშარსელე, რადგან მთელი მისი სალაპარაკო ამოშლილი იყო პიესიდან. ასეთი რეჟისორის „ცენზურა“, როგორიც ჩვენ სცენაზე შემოღებით სახელდობრ დრამატურგებისათვის, მგონი, ოსმალეთშიც არ არის. საზოგადოდ, იმდენი პატივისცემა უნდა გვქონდეს ავტორისა, რომ სრულიად არ უნდა ვამოკლებდეთ პიესას. მაგრამ თუ რაიმე აუცილებელ მიზეზის გამო ასეთი ბარბაროსობა აუცილებელია, ისე მაინც უნდა შევამოკლოთ, რომ მთავარი ადგილი ხელ-უხლებელი დარჩეს!

მთელი სცენა (დეშარსელესა და ისიდორ ღეშას შორის), სადაც შესანიშნავის ძლიერებით და სინამდვილით არის დახატული დაცემა და გარყვნილება ძლიერთა ამა ქვეყნისათა (გახრწნილ არისტოკრატიისა, მტაცებელ ცხოველად გადაქცეულ ბურჟუაზიისა და მოქნილ, ყველაფრის შემკუმელ სამღვდელოებისა) გამოსტოვეს ჩვენმა არტისტებმა.

უგემოვნოდ და გლახაკურად დაბრუნდა სახლში ქართულ თეატრის მოყვარული და გულშემატკივარი, მით უფრო, რომ ზოგ მაყურებელთა ქცევა საწყენი და გულმოსასვლელი იყო. უადგილო ადგას სიცილ-ხარხარი, ხმაურობა და დავიდარაბა იყო თეატრის დარბაზში. ერთი თავგასული გაჟბატონი სულ გაჰკიოდა, და თეატრის ადმინისტრაციამ არავითარი ღონისძიება არ იხმარა: ალბად, იმიტომ, რომ ქართველი ყველაფრის ატანას არის მიჩვეული.

ი.

ქუთაისი. „ამდენ ხანს სულ იმის საყვედურში ვიყავით რეცენზენტები, ჩვენი გულ-ცივი საზოგადოება ქართულ წარმოდგენებს არ ესწრებაო. წელს, მადლობა ღმერთს, ასეთი საყვედური აღარ გეთქმით საზოგადოების მიმართ, რომელიც, მიუხედავად წლევანდელ ქისტობისა, წარმოდგენებს გულ-მოდგინედ ესწრება. საყვედური არ ეთქმით არც ჩვენს მსახიობთ, რომელთაც წელს [illegible] მოჰკიდეს საქმეს ხელი და როგორც ძველის, ისე ახალის საუკეთესო პიესების წარმოდგენით საზოგადოება თეატრისაკენ მიიზიდეს. „ეხლა საყვედურის ღირსნი არიან ქალაქის გამგეობა და მასთან ერთად სათეატრო კომისია, რომელნიც [illegible] ჰფიქრობენ, რომ ამ საზოგადოებას ცოტა შეღავათი მისცენ თეატრში“-ო, მეუბნებოდა ანტრაქტების დროს ერთი პატივცემული ქართველი, და მართლაც იმისი შენიშვნა საფუძველს არ არის მოკლებული. თუ ამდენ ხანს თეატრის სიცარიელეს ვჩიოდით, ეხლა მგონი, ის გვაგონდეს საწვალებლად და სამწუხაროდ, რომ წარმოდგენების დროს თეატრში მეტის-მეტი სივიწროვეა. საქმე ის გახლავთ, რომ თეატრს არა აქვს არც ფოიე, არც ბუფეტი, არც სრული ტალანი (კორიდორი), რომ შეიძლებოდეს ანტრაქტების დროს თეატრიდან გამოსვლა, გაგრილება, ნაცნობების ნახვა, თუთუნის მოწევა და სხ. იძულებული ხარ, 8 საათიდან დაწყებული 12 საათამდის ფეხ მოუცვლელად იჯდე ერთს ადგილს და ჰყლაპო მტვერითა და თუთუნის ბოლით მოუშხამულ-მოწამლული ჰაერი. წინად ბუფეტი მაინც ჰქონდა თეატრს, სადაც ანტრაქტებას დროს შეიძლებოდა გასვლა, შედარებით სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა და დასალევად წყლის შოვნა; ეხლა კი აღარც ბუფეტი აქვს და, თეატრში რომ ვისმე გული შეუწუხდეს, კაცი ერთ ჭიქა წყალსაც ვერ იშოვნის იმის მოსაბრუნებლად. ასეთი მაგალითი-კი არა ერთი გვინახავს, ნამეტნავად ოთხ-ფეხსიან წარმოდგენების დროს, როდესაც თეატრი ისე გაიჭედება საზოგადოებით, როგორც ზევით, ისე ქვევით, და ჰაერი ისე შეიხუთება, რომ სულის მოთქმა სჭირს. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ამ დროს თეატრში ვინმემ თუნდ ტყუილად წამოიძახოს „ცეცხლი“-ო, თორემ ენით წარმოუთქმელი უბედურება დატრიალდება: სულ გასრესს ეს ამოდენა ხალხი. თეატრის ასეთ სივიწროვეს ყველანი კარგად გრძნობენ, გრძნობს ქალაქის გამგეობა, გრძნობს სათეატრო კომისიაც, მაგრამ მარტო გრძნობა საქმეს არ შველის. საჭიროა მეტი ცდა, მეტი მოქმედება, რომ თეატრთან ფოიე გაკეთდეს; თუნდ სულ უბრალო, ცარიელი ოთახიც რომ იყოს, მოურთველ-მოუწყობელი, სულ არაფერს ისიც აჯობებს. ცოტათი მაინც გაფართოვდება თეატრი და კაცი უფრო თავისუფლად ისუნთქავს. ფოიეს გაუკეთებლობის მიზეზად სათეატრო კომისია იმას ასახელებს, რომ ძლიერ ძვირად გვიფასებენ თეატრის გასაფართოვებლად საჭირო ადგილსაო. მე არა მგონია, ადგილის პატრონმა ისარგებლოს თეატრის გაჭირვებულის მდგომარეობით და მამასისხლად დაფასოს თავისი ადგილი. საჭიროა კომისია ხეირიანად მოელაპარაკოს ადგილის პატრონს და, თუ შესაძლებელია, როგორმე მოაგვაროს საქმე. მაგრამ, თუ მასთან საქმის დაჭერა არ მოხერხდა, მაშინ სხვა ღონისძიება იხმაროს, თუნდ, მაგალითად, იქირაოს ის ოთახი, რომელშიაც წინად სათეატრო ბუფეტი იყო მოთავსებული.

დონ-ვალიანი

ფოთი. ქუთაისის დრამატიულმა დასმა ბ-ნ გ. მესხიშვილის გამგეობით ზედი-ზედ ორი ქართული წარმოდგენა გამართა. პირველად, კვირას 14 ნოემბერს, წარმოადგინეს „ცხოვრების გარეშე“ პროტოპოპოვისა, მეორედ „ექიმი შტოკმანი“ ანუ „ხალხის მტერი“, იბსენისა. წარმოდგენამ ორჯელვე მშვენივრად ჩაიარა. მოთამაშეთ ცხადად ეტყობოდათ, რომ ერთგულად ემსახურებიან სცენას. განსაკუთრებით აღსანიშნავია როგორც გამგეს საუცხოვო თამაში, ისე ახალგაზრდა მსახიობ ქალის ნ. დავითაშვილისა. პირველ პიესაში, სადაც იგი მოახლე პოლიას როლს თამაშობდა, საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. თუმცა ქუთაისის დრამატიული დასი ასე მშვენივრად მომზადებული გვეწვია და ორი კარგი წარმოდგენა გაგვიმართა, ხალხი მაინც იმდენი არ დასწრებია, რამდენიც მოსალოდნელი იყო.

ი იანეთელი

სახალხო სკოლა ბოლგარიაში

ბ-ნ კულიაბკო-კორეცკის საჯარო ლექცია წაუკითხავს მოსკოვში ბოლგარულ სკოლაზე. ამ ლექციის შინაარსი მოყვანილია „რუსკოე სლოვო“-ს მე-315 ნომერში, და იმდენად საყურადღებოა იგი, რომ საჭიროდ მიგვაჩნია სრულად გადმოვიღოთ რუსულ გაზეთის წერილი.

პატივცემულ ლექტორის აზრი იყო გამოერკვია კავშირი ბოლგარიის პოლიტიკურ განვითარებისა სახალხო განათლების ვრცლად დაყენებულ საქმესთან. ამ მიზნის მისაღწევად ლექტორს დასჭირდა ისტორიულად შეეხედნა საკითხისათვის და გამოეკვლია სახალხო სკოლის თან-და-თანი გავლენა ბოლგარიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ბოლგარელ სახალხო მასწავლებლის შემოქმედებითი მუშაობა იწყება იმ ბნელსა და მძიმე დროს, როცა ჯერ კიდევ ოსმალეთი ბატონობდა დამონებულ ბოლგარიას.

ნაყოფი ამ შემოქმედებით მუშაობისა თვალწინ მაშინ წარმოუდგა განცვიფრებულ ქვეყნიერებას, როცა განთავისუფლებულ ბოლგარიას უნდა აერჩია ესა თუ ის ფორმა სახელმწიფო წესწყობილებისა, უნდა შეემუშავებია კონსტიტუცია.

პირველი პროექტი ახლად დაბადებულ ბოლგარიის სამთავროსათვის, როგორც ვიცით, პეტერბურგში შეამზადეს. ეს პროექტი უნდა განეხილა და დაემტკიცებინა „დიდ ეროვნულ კრებას“.

„შესაძლებელია, შენიშნა, სხვათა შორის, ლექტორმა, რომ არა ერთსა და ორ რუსის სახელმწიფო მოღვაწეს გულიანად ეცინებოდა იმის გაგონებაზე, რომ სულთნის გუშინდელი მონების „მოუხეშავ, უვიც სოფლელებს“ კონსტიტუციაზე „მსჯელობა“ უნდა გაემართნათ“. ნამდვილად-კი სასაცილო აქ არა იყო რა. „უვიცი სოფლელები“ უფრო მომწიფებული გამოდგნენ პოლიტიკურად, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ქვეყანა განცვიფრდა, როცა ბოლგარებმა შეგნებულად და თან-და-თანობით განიხილეს კონსტიტუციის პროექტი, ხელ-ახლად შეიმუშავეს და შეუფარდეს იგი ცხად დემოკრატიულ ტენდენციას.

არ მიიღეს ორ-პალატიანი სისტემა წარმომადგენლობისა (მარტო ერთი პალატა დაიტოვეს), უარ-ჰყვეს საარჩევნო ცენზი და ბევრი სხვა რამეც, რაც-კი თავისუფლების შეკვეცად მიიჩნიეს.

ლექტორი სამართლიანად უჩვენებს, რომ ასეთი შეგნებული მოხმარება პოლიტიკურ უფლებათა უნდა ყოფილიყო ნაყოფი ამ სახალხო სკოლის უწინარ, მაგრამ ნაყოფიერ მოღვაწეობისა, რომელიც ოსმალეთის უღლის უმძიმეს ხანაშიაც არ მომკვდარა.

ახალ კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ ნამდვილ აღყვავებას მიაღწია ბოლგარიის თავისუფალმა სახალხო სკოლამ. მას არ შეუჩერებია თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა არც ბატენბერგის დროის არეულობათა მიზეზით და არც სტამბულოვის დიქტატურის დროს.

გაკვრით ლექტორმა ბრწყინვალე დახასიათება მოგვცა ამ შესანიშნავ ბოლგარელ მოღვაწისა; ლექტორი ამართლებს სტამბულოვს იმ ბრალდებისაგან, რომ იგი დესპოტი იყო, და საბუთად, სხვათა შორის, მოჰყავს სკოლასთან დამოკიდებულება იმ მოღვაწისა.

რვა წელიწადი გაგრძელდა სტამბულოვის დიქტატურა და ამ ხნის განმავლობაში დიდად გაიზარდა დაბალ და საშუალო სკოლების რიცხვი. გარდა ამისა, მისი ინიციატივით, ყველა წელს ასობით ჰგზავნიდნენ სახელმწიფო ხარჯზე ბოლგარელ ახალგაზრდებს საზღვარ-გარედ სწავლის დასამთავრებლად. ამათ შეხვდებოდით პარიზში, ციურიხში, ჟენევაში. „არ უნდა მოიძებნებოდეს ისეთი დესპოტი, რომელიც თავის ქვეშევრდომებს სასწავლად იქ გზავნიდეს, სადაც თავისუფლების მოყვარე ევროპის აზრის დიდი ცენტრებია“-ო, სთქვა ლექტორმა. ლექტორი ბოლგარიაში მისულა სტამბულოვის გადაყენების წინ და ამ დროს იქ ყოფილა 3000 სახალხო სკოლა 6600 მასწავლებლით, 15 საშუალო სასწავლებელი და ერთიც მაღალი სკოლა სოფიაში.

კორეცკის არ დაუჯერებია სატახტო ქალაქის სკოლების გარეგან შეხედულებისათვის, ფეხით მოუვლია მთელი ბოლგარია და გასცნობია სახალხო სკოლის მოღვაწეობას უკანასკნელ მივარდნილ კუთხეებშიაც, და რაც უნახავს, ღრმა პატივისცემა ჩაუნერგავს ლექტორის გულში ბოლგარულ სკოლისადმი.

პირველად ყოვლისა იგი აღნიშნავს ბოლგარელ მასწავლებლის განვითარებას და ცოდნას. იშვიათი მოვლენაა, რომ რომელიმე მივარდნილ სკოლის მასწავლებელმაც კი უცხო ენა არ იცოდეს. თუ სოფელი ცოტათი მდიდარია, მასწავლებელი ორია. უფრო მნიშვნელოვან სოფლებში სკოლაში 10—15 მასწავლებელია. თვითონ სკოლას დიდ-ძალი სასწავლო ნივთები და მოწყობილება აქვს ფიზიკურ კაბინეტით გათავებული. ამ სკოლებში მარტო წერა-კითხვას არ ასწავლიან. ათ-თერთმეტი წლის ბავშვებს ასწავლიან ისტორიას, გეოგრაფიის და აცნობენ კონსტიტუციას. ეს ცოდნა საჭიროა ბოლგარელისათვის, რადგან, როცა სრულ-წლოვანი გახდება, იგი მოქალაქეა და ხმა აქვს თავის ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში.

ის ელემენტარული ცოდნა, რომელსაც იძენს ბავშვი ბოლგარულ სკოლაში, იმავე დემოკრატიულ ტენდენციისაა, რომელიც დამახასიათებელია ბოლგარიის საზოგადოებრივ წყობილებისა. ჩაიხედეთ ისტორიის სახელმძღვანელოში და განცვიფრებით წაიკითხავთ, რომ ბოლგარული სახელმძღვანელო „დესპოტს“ ეძახის ბევრ ისეთ ისტორიულ მოღვაწეს, რომელთაც ჩვენ ბავშვობიდან გმირებად გვისახავდნენ.

რაკი ახეთი მნიშვნელობა აქვს სკოლას ბოლგარიის ერის ცხოვრებაში, ამიტომაც მასწავლებელს ყოველ სოფელში დიდი პატივისცემით ეპყრობიან; ამიტომაც „მასწავლებელთა კავშირსაც“ დიდი ზნეობრივი ძალა აქვს. დიდი ხანი არ არის, რაც ეს ძალა გამოსცადა ბოლგარიაში ცნობილმა პოეტმა ველიჩკოვმა; ეს ველიჩკოვი სახალხო განათლების მინისტრად დანიშნეს და, მთავრის სასიამოვნოდ, მოინდომა სახალხო სკოლის თავისუფლების შეკვეცა. მინისტრის ცირკულიარმა ისეთი პროტესტი გამოიწვია მასწავლებელთა კავშირისა, რომ ველიჩკოვი დიდხანს ვერ იჯდა მინისტრის სელში.

ეს „კავშირი“ მარტო იმას კი არ სცდილობს, რომ თავი დაიცვას. მას 80 ათასი მანეთი თანხა აქვს, რომელიც ზოგი საწევრო ფულიდან შესდგა და ზოგიც „კავშირის“ გაზეთის შემოსავლიდან, და დიდ განმანათლებელ პროპაგანდას ეწევა. კავშირის დელეგატების ამ წლის კრებაზე გამოირკვა, რომ საანგარიშო წელს 1800 საჯარო ლექცია გაუმართავთ და რამდენიმე ათი ბიბლიოთეკა დაუარსებიათ.

ამ ბოლოს დროს კავშირი მოწადინებულია განდევნოს სახალხო სკოლის პროგრამიდან სამღვთო სჯულის სწავლება. მიუხედავათ სამღვდელოების გაცხარებულ წინააღმდეგობისა, დაბალ და საშუალო სკოლის მასწავლებელნი ადგილობრივსა და საერთო კრებებზე ენერგიულად ავრცელებენ იმ აზრს, რომ ბავშვის სარწმუნოებრივი აღზრდა ოჯახის საქმეა და არა სკოლისა. კრებებზე ლაპარაკობენ პირდაპირ, მოურიდებლად და მხურვალედ, და მათი ხმა უნაყოფოდ არ რჩება.

დიდი ხანი არ არის, რაც საერო განათლების მინისტრი იძულებულ შეიქნა უკანვე წაეღო მისგან შემუშავებული პროექტი საშუალო სკოლის პროგრამისა მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა კაბლოშკოვმა შეუბრალებლად და საბუთიანის კრიტიკის ქვეშ გაატარა ეს პროექტი მასწავლებელთა ერთ კრებაზე.

სკოლის გარე მოღვაწეობა მასწავლებლებისა გაადვილებულია იმითი, რომ ბოლგარიის კონსტიტუციის ძალით ყველას თავისუფლად შეუძლია ლექციების, კურსების და კრებების გამართვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ომის მიზეზით ხაზინა 1905 წელს არც ერთ ახალ გზის გაყვანას არ აპირებს. ხარჯთაღრიცხვიდან გამოაკლეს ყველა ის მუხლები, რომლითაც ახალ გზების გასაყვანად ფული იყო გადადებული.

◆ შინაგან-საქმეთა სამინისტროს განუზრახავს დააარსოს მოსკოვსა ან პეტერბურგში საფარმაცევტო ინსტიტუტი.

◆ როგორც „რუს. ვედ.“ და „ნოვოსტი“ გადმოგვცემენ, ამას წინად გაუთავისუფლებიათ ოლონეცის გუბერნიაში გადასახლებული მ. ი. ნაჩალოვი. ნაჩალოვს „კურსკის გაზეტა“-ში, რომელიც უკვე დაიკეტა, დაუბეჭდია ლექსი „წინ!“ და ეს იყო იმის გადასახლების მიზეზი.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კიეველმა და ხარკოველმა ქალებმა შუამდგომლობა აღძრეს ამ ორ ქალაქებში ქალთა უმაღლესს კურსების დაარსების შესახებ. პეტერბურგში არსებობს „ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოებას მინისტრისთვის პეტიცია გადაუცია. პეტიციაზე 638 ექიმ-ქალს, არტისტ-ქალს, მწერალ-ქალს და სხვას უწერია ხელი. სთხოვენ მინისტრს, შეიწყნაროს ხარკოველ და კიეველ ქალთა შუამდგომლობა.

◆ შემდეგი მხეცური მკვლელობა მომხდარა პირველ ნოემბერს დაბა ნიკოპოლში. ამ დღეს ამოუწყვეტიათ პურის ვაჭრის კალმან ზაკშტეინის მთელი ოჯახი. როდესაც პოლიცია და გამომძიებელი შესულან სახლში, შემდეგი სურათი უნახავთ: ლოგინში სისხლში სცურავდა თავგატეხილი კალმან ზაკშტეინი, ოჯახის უფროსი, 48 წლის კაცი, იქვე კრავატთან, აგრეთვე სისხლში მოსვრილი და თავგატეხილი ეგდო იმისი ცოლი სონია, 36 წლის ქალი. მეორე ოთახში თავ-თავიანთ ლოგინებზე იწვნენ გასისხლიანებული შვილები ზაკშტეინისა 11 წლის ბორისი და 9 წლის მოსე. ამათთან იატაკზე ზაკშტეინის ნოქარი ზალმან კოგონი, 55 წლის კაცი. სამზარეულოში პოლიციამ იპოვნა თავგატეხილი და სისხლში მცურავი მოახლე 15 წლის ქალი დონოვა. მთელ ამ ოჯახიდან სიცოცხლის ნიშან-წყალი ეტყობოდა მხოლოდ ორ ადამიანს—ნოქარს კოგონს და ბავშვს ბორისს. ესენი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ჯერ გონზე არც-კი მოსულან. ექიმებს იმათ მორჩენის იმედი არა აქვთ. მკვლელებს წაუღიათ ცოტაოდენი ფული და საცვალი. როგორც ეტყობა, მკვლელები სახლის წინ ხეზე ასულან, იქიდან გადასულან ჩარდახში, საიდანაც ჩასასვლელი ყოფილა საცხოვრებელ ოთახებში. ეს ამოდენა ხალხი მკვლელებს ცულებით ამოუჟლეტიათ. დღემდე მკვლელთა კვალი ვერ აღმოაჩინეს.

წერილები

თელავი. ქალაქის თვით-მმართველობამ რომ სახაბაზო გახსნა, ერთმა ხმოსანმა ლაპარაკის დროს მითხრა, ეხლა კი ბოლო მოეღება მეპურეების თავგასულობას, როგორც უნდათ, ისე ვეღარ მოიქცევიან და არც წამ და უწუმ ითხოვენ ნიხრის მომატებას; ყასბის დუქანი რომ გახსნას ქალაქმა, ძალიან კარგი იქნება, ყასბებს კრიჭაში ჩაუდგება და თვით-ნებობას მოაშლევინებსო. მეც, რასაკვირველია, კვერი დაუკარი, ქალაქმა უნდა სასახელოდ მოაწყოს სახაბაზო, აცხოს სხვაზე უკეთესი პური და თუ შეიძლება ნაკლებ ფასად მიაწოდოს ღარიბ მცხოვრებთ, მას ხომ მოგება არა აქვს აზრად. ეხლა როცა ვუმზერ მეპურეების მიერ გამომცხვარ პურს და ქალაქის სახაბაზოს, მაგონდება ეს ბაასი. დღეს თელავის მცხოვრებნი თუ ყველა არა, 80% მაინც გირვანქობით ყიდულობენ გამომცხვარ პურს. მართალია, იყო დრო, როდესაც ბაზარში პურს მარტო რუსობა ყიდულობდა, მაგრამ ეხლა ყველა ბაზარში გამომცხვარ პურზეა მიჩვეული. ეს უფრო ეხერხება შეუძლებელ წრეს, რადგან ერთად ხარჯს არ მოითხოვს და არც მოეპოვებათ, რომ ტომრობით იყიდონ და მერე აცხონ. ამის გამო ერთი და ორი მეპურე ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და მათი რიცხვი შედარებით გადიდდა. არა თუ ბაზარში, თითქმის უბნებშიაც კი გაიმართა მეპურეთა დუქნები. შემდეგ ქალაქის დუქანიც მიემატა. აი აქ გამომცხვარი პურით იკვებებიან თელავის მცხოვრებნი და მას კი ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული. ჯერ-ერთი რიგიანად არ აზრობენ წონის გულისთვის და მეორე-კიდევ მჭარეს აცხობენ. ერთი დღე რომ რჩება, სიმჭარე ეპარება და თუ დაძველდა, მაშინ ხომ მძიმე საჭმელი ხდება. ამას ფქვილის უშოვნელობას აწერენ. მაგრამ რამდენად სიმართლიანია ეს მიზეზი, იქიდანა სჩანს, რომ ზოგჯერ კარგ პურს აცხობენ და იმას ნიხრზე მეტად ჰყიდიან. ასეთ პურს იშვიათად აცხობენ, მეტ ფასად ყიდვას გვიკრძალავენო. ეს დალოცვილები თუ-კი ნიხრს აქცევენ ყურადღებას, იმის მოვალენი-კი არ არიან, რომ თვალ-ყური ადევნონ, პურის თვისებას და თვითნებობა მოაშლევინონ. ჩვენ გვეგონა, სწორედ ასეთ შემთხვევაში გამოიჩენდა თავს ქალაქის სახაბაზო, მაგრამ იმედი არ გამართლდა, ისიც სხვების კვალს მისდევს. ჯერ ერთი—სახაბაზოს ორნაირი, ფურნის და თორნის, პური უნდა ეცხო; პირველი ვერ მოახერხა და მეორისთვის კარგი თვისებას ფქვილს ტფილისიდან-კი არ იწერს, როგორც სხვა მეპურეები, ადგილობრივ ფქვილს დუქნიდან ყიდულობს და, რასაკვირველია, რაც უნდა ეცადოს, სხვას თუ არ ჩამორჩა, წინ ვერ გაუსწრობს. ჩემის აზრით, თუ ასე განაგრძო მოქმედება, ზარალის მეტს ვერასა ჰნახავს და არც თავის მიზანს მიაღწევს.

ხორცის ვაჭრობა სულ 5—6 კაცის ხელშია, იმათთვის არავითარი დადგენილება არ არის, არც ნიხრი, არც ხარისხი, სულ ერთია, როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან. ამაზე არც არავინ იცხელებს თავს. ისინი-კი თანაც იყვედრებიან, ნიხრს რომ ვუყუროთ, თელაველები მშივრები დარჩებიანო.

დიმიტრაშვილი.

სამეგრელო. დღეს, როდესაც ახალმა პირნახულმა ცოტად თუ ბევრად გაუძლო მუცელი დამშეულ ხალხს, სოფლებში კვლავ გაჩნდა ძმა-ბიჭების ჩვეულებრივი ქეიფი და ლხენა. დუქნებში ხშირად ნახავთ მხიარულ „კომპანიას“. ამათ განვლილი ზაფხული ავიწყდებათ. შემოდგომა საზოგადოდ ნათლა-ქორწილების სეზონია. მდგომარე შემოდგომასაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია და თავისი ელფერი ედო. მეგრელები არა სტოვებენ ძველ რჯულსა და წესს. რისთვის არ გამართვენ, მაგალითად, ქორწილს, როდესაც იმისგან ჩამორჩენას მოელიან. მართალია, ბევრი შრომა, დრო და ფული უნდა ქორწილის გაწყობას, მაგრამ სამაგიეროდ მოიწვევს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს და ამათ მიერ მოტანილი შესაწევი ფული დაუფარავს ყოველ ხარჯს და ხშირად მოგებულიც დარჩება. ახლა ერთი მიპატიჟებულის მდგომარეობაში შევიდეთ. სწორედ საბრალოა იგი. აქეთ დიასახლისი წაუსვლელობას შეუძლებლად სთვლის და არ ასვენებს, იქით უფულობა წასვლის ნებას არ აძლევს. ამნაირად ორ ცეცხლ შუა ვარდება. მაგრამ ბოლოს თავმოყვარეობა სძლევს, არ უნდა „შებღალოს“ თავისი სახელი, რადგან თუ დანიშნულ ქორწილს დააკლდა, მაშინ ხომ შერცხვენილი იქნება მეზობლებსა და ნაცნობებში. მეტი ჩარა არ არის, სესხულობს საჭირო ფულს, უფრო ხშირად-კი ჩალის ფასად ჰყიდის სიმინდს ან სხვა რამეს და ძველ ადათს არა ღალატობს.

სამეგრელოში უმეტეს ნაწილად ძველებურად „ჩვეულებრივად“ სტირიან მიცვალებულს. ნათესავთა და მოყვრებს თავმოყვარეობა ავალებს რაც შეიძლება მრავალ-რიცხოვან „ზარით“ ეწვიონ მიცვალებულის პირისუფალს. ჯერ ზარის წამყვანი უმასპინძლდება თავის მხლებლებს, ზარის შემადგენელ პირთ და აქედან შეზარხოშებულნი მხიარულად მიეშურებიან დანიშნულ ოჯახისკენ. მიცვალებულის პატრონს

არა ერთი მოყვარე სცემს პატივს და ზარით ესტუმრება. ეს-კი, რასაკვირველია, ხარჯს ერთი ორად იწვევს. ცოდვა კია ამდენი მუშა ხელის გაცდენა და ორსავე მხრივ საგრძნობელ ხარჯის გაწევა. მაგრამ ამას თქვენი პირი წაუღია, რომ სხვა ცუდი მხარეები არ ახლდეს. საკმარისად შექეიფებულნი მიდიან-რა სატირალში, არხეინად შეექცევიან პურ-ღვინოს და კარგა მაგრად ჩალზებიან შიგ. შემდეგ სიმღერით და დიდის ამბით მოდიან სახლში, ინ-კი მათ რად ეტირებათ სხვისი მიცვალებული! სწორედ სასაცილო და თანაც სამწუხარო იყო ერთ ასეთ შემთხვევის დანახვა. სიძე თავის სიმამრის სატირალში ზარით წავიდა. საღამოს შორიდან მოგვესმა სასიამოვნო მაყრული. გვეგონა, ქალი მოჰყავთო, მაგრამ გავკვირდით, როდესაც სატირალიდან დაბრუნებულნი ვნახეთ. ცხენზედ ძლივსღა მაგრდებოდნენ. ჩამოხდნენ დუქანში და მთელი ღამე ქეიფით გაატარეს.

ტეხურის-პირელი.

ხოფ. საყულია (ქვემო იმერეთი). „ოდელია ბარცხანაო, ეხროო და მახარაო“ გოდებდა ერთი ბარცხანელი კორესპონდენტი წასულ წელს კორესპონდენციაში. ალბად, სავოდებელიც ჰქონდა, რადგან თავის თვალითვე ჰხედავდა ბარცხანის ნაკლულევანებას და უკუღმართ ცხოვრებას. არა ნაკლებ სავოდებელია ბევრი ჩვენი სოფელი ქვემო იმერეთში, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ნაღვლით აევსება კაცს გული, როცა დაახლოვებით გაიცნობთ ს. საყულიას, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. აქ იგივე ლხინ-კოების სიმრავლე სამიკიტნოებში, იგივე ზანქობანათი შექცევა, იგივე უმეთაურობა საზოგადო სასარგებლო საქმეში. მდებარეობა სოფელს ცოტათი დაბალი აქვს, რისათვის აქაური ჰავა ჯანმთელობისთვის მაზარალებელია. ეს შვიდი-რვა წელიწადია ცოტათი გამოკეთდა ჰაერი, რადგან ტყეები გასჩეხეს და თითქმის სულ მინდვრებად აქციეს. შეში ძლიერ გაგვიძვირდა. 10—15 მანეთია საჟენი. შარა გზები უწინდელზე უკეთესია და გაყვანილია საწრეტი თხრილები. მე კარგად მახსოვს, ამ რვა-ათი წლის წინად აქ ივნისიდან დაწყებული სექტემბრის გასვლამდე თითქმის ყოველ ოჯახში იწვა ორი, ან სამი ციებ-ცხელებიანი ავადმყოფი. დღეს-კი ისე გაივლის ზაფხული, რომ მთელ სოფელში ათს ვერ ნახავთ ამ სენით ავადმყოფს. სულ აქ სცხოვრობს 260 მოსახლე ყველა წოდებისა; 220—გლეხი, 26—აზნაური, 14—სასულიერო წოდება. დღემდის ერთი გლეხი იყო გაუნთავისუფლებელი, დღეს კი იმანაც უშველა თავს და განთავისუფლდა ბატონისგან. ყველანი მისდევენ მიწის დამუშავებას, სიმინდისა და პურის თესვა-მოყვანას. ყველაზე მეტი სიმინდი მოჰყავთ. ბევრს გასასყიდიც აქვს. აბრეშუმის მოყვანა კარგს ხეირს იძლევა, რადგან ბჟოლის ხე ჩვენში კარგად ხეირობს და ბლომადაცაა. თესვენ აგრეთვე კომბოსტოს და კარტოფილს, რომელიც ძლიერ ხეირობს და ეს შვიდი წელიწადია კარგს მოსავალს და სარგებლობას იძლევა. უფრო ისარგებლებდნენ, რომ მათი გასაღება შეიძლებოდეს რიგიანს ფასებში. კომბოსტო შემოდის 1 მაისიდან ოც ივნისამდე, თუ კარგი გაზაფხული იქნა. წრევანდლამდი კომბოსტოს და კარტოფილსაც ყიდულობდა ბათუმელი ვაჭარი კაკაბაძე, ზოგს ნაღდად და ზოგს ფუთობით, ვისაც როგორ მოურიგდებოდა, და მერე სადგურ მუხიანიდან ბათუმს და რუსეთში მიჰქონდა. ფუთზე იძლეოდა ორ აბაზს. სადგურის ხარჯები გამყიდველისა იყო და თითო ფუთს ნამდვილად აბაზად ჰყიდდნენ და არა ორ აბაზად. ამნაირმა ანგარიშმა წელს ყველა მეტად დაამწარა და შეადგინეს ამხანაგობა, არ მიჰყიდეს კაკაბაძეს და თავისი კომისიონერი დაიყენეს ბათუმში—არაქელოვი, რომელმაც თავის თავზე იდვა მთელი სოფლის კომბოსტოს გაყიდვა ბათუმსა, დონის-როსტოვსა და სხვაგან. 15 მაისიდან 26 ივნისამდე გაიგზავნა სოფლიდან 10,464 ფუთი კომბოსტო, რომელიც გასაღდა აღნიშნულ ადგილებში. 63,95 მ. 81 კ. ეს 6395 მ. 81 კ. მიიღო ამხანაგობის ხაზინადარმა და ფუთების რიცხვის და ვალობაზე დაურიგა ყველას. ამ ფულიდან ოთხმა კაცმა საკომისიო აიღო 461 მ. 85 კ. სადგურის ხარჯები იყო 150 მ. 71 კ., დანარჩენი 5783 მ. 25 კ. მიიღო სოფელმა. ჩვენის გამოუცდელობით წელსაც ბევრი დაგვაკლდა, მაგრამ შედარებით წასულ წლებთან წრეულს ხალხი უფრო კმაყოფილია და გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ამგვარ საქმეში ამხანაგობას დიდი ძალა აქვს. ასი თუმანი ისეთ რამეებში დაიხარჯა, რომელიც შეგვეძლო აგვეშორებინა თავიდან და ხალხს დარიგებოდა ისევ. იმედია შემდეგში ავიშორებთ თავიდან ამ ზედ მეტ ხარჯებს და ამხანაგობის საქმეც მკვიდრს ნიადაგზე დადგება.

მღ. პ. ჯინჭველაშვილი

დ. ყვირილა. ამ ბოლო ხანებში ჩვენი ბიბლიოთეკა სიკვდილის პირზე იყო მისული და დღე-დღეზე ველოდით იმის დახურვას, მაგრამ 24 ოქტომბერს კნ. ე. ლეონიძისამ იმის სასარგებლოდ გამართა საღამო და მით გამოიხსნა აუცილებელ სიკვდილიდან. წმინდა შემოსავალი იყო 225 მ. 28 კ., რომელიც გადაეცა ბიბლიოთეკის გამგეობას. ჯერ შემთხვევა არა ყოფილა, რომ საღამოდან ამდენი შემოსავალი დარჩენოდეს ბიბლიოთეკას, მაგრამ ეს უნდა მიეწეროს კნ. ლეონიძის მეცადინეობას. 11 ნოემბერს აკურთხეს ახლად დაარსებული საურთიერთო სამეურნეო ბანკი. ბევრნი ამ ბანკზე დიდს იმედებს ამყარებენ, რისათვის საჭიროა მისს სათავეში მდგომნი რიგიანად გაუძღვენ და ნდობა მოუპოვონ მას შორაპნის მაზრის მკვიდრთა შორის. აქაურს სავაჭრო მოედანს აქვს განყოფილება, სადაც აწყობენ ქვევრებს, კრამიტს და სხ. მასალას. განყოფილება მოედანთან ერთდება ქუჩით, რომელიც ისე ვიწროა, რომ ორ ურემს გვერდი ვერ აუქცევია ერთმანეთისთვის. მოედნის განყოფილებაც ჭაობიანს ადგილზეა და ზედ სიარული ურმებს ძლიერ უჭირთ, რისთვისაც საჭიროა ზედ ქვისა და ხრეშის დაყრა.

ხაყულიელი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

18 ნოემბერი

მუკდენი, 17 ნოემბერი („სიკ. კორესპ.“). იაპონელები, როგორც სჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევენ. მიუხედავად ჩინებულად მოწყობილ თხრილებისა და თბილის ტანისამოსისა, მეციხოვნენი ხშირად ხდებიან ავად სიცივისაგან. რუსების სანიტარული მდგომარეობა მშვენიერია. ისინი დიდის ხნით უზრუნველ ყოფილნი არიან ყველაფრით.

ტოკიო, 17 ნოემბერი („რეიტერი“). სეფე-სიტყვაში, რომლითაც დღეს მიკადომ პარლამენტი გახსნა, ნათქვამია: „ჩვენ ვაუწყებთ პერთა პალატის წევრებს და დეპუტატთა პალატის წევრებს, რომ ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენი დამოკიდებულება ყველა ნეიტრალ და მოკავშირე სახელმწიფოებთან უფრო და უფრო მეგობრულია. ჩვენ მივანდეთ ჩვენს მინისტრებს წარუდგინონ პალატას პლანი საგანგებო საომარ ხარჯის დასაფარავად სხვა კანონ-პროექტებთან ერთად. ბრძოლის ველზე ჩვენი მხედრობა სასახელოდ იბრძოდა ყოველს შეტაკებაში და მრავალჯერ გამოიჩინა სიმამაცე და გულადობა. სამხედრო მოქმედება ყოველთვის ჩვენთვის საკეთილოდ თავდებოდა. ველოდებით, რომ ასეთი ერთსულობა და თავგანწირულება ჩვენ ქვეშევრდომთა ჩვენგან აღნიშნულს საბოლოო მიზანს მიაღწევს. ჩვენ გიწვევთ თქვენ, შეასრულოთ თქვენი მოვალეობა ერთობით ჩვენ განზრახვათა განსახორციელებლად.“

მოსკოვი, 17 ნოემბერი. მოვიდა ტრანსპორტი 163 დაჭრილით და ავადმყოფით. ამათ შორის ბევრია ისეთი, რომელთაც წმ. გიორგის ორდენი აქვს მიღებული.

ვაშინგტონი, 17 ნოემბერი („რეიტერი“). რუზველტმა გამოაცხადა კონტრ-ადმირალს ჩარლს გეკორი დევისს, რომ იმას დაევალება იმ კომისიის წევრად ყოფნა, რომელმაც ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ინციდენტი უნდა გამოიძიოს.

ჩიფუ, 17 ნოემბერი („რეიტერი“). გუშინ, საღამოს 11 საათზე, იაპონელებმა ხელ-ახლა დაუშინეს მედგრად ყუმბარები პორტ-არტურს. როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, იაპონელებს საოცარის თავგამოდებით მიუტანიათ შტურმი ერლუნშანისა და 203 მეტრიან გორაკის ფორტებზე. რამდენჯერმე შტიკებითაც შეუტევიათ. ზარალი ძლიან დიდია. ამბობენ, იმ დროიდან, რაც პორტ-არტურს ალყა არტყია, იაპონელებმა დაჰკარგეს სულ 25,000 კაცი.

ტოკიო, 17 ნოემბერი („რეიტ.“). იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი იუწყება, იაპონელთა ის რაზმი, რომელმაც პორტ-არტურთან 203 მეტრიან გორაკზე იერიში მიიტანა, წინ მიდისო. დილის 10 საათზე თხრილები და გორაკის მაღლობები უკვე დაიჭირეს იაპონელებმა. იბრძვიან ეხლა ფორტის სამხრეთ-აღმოსავლეთ სიმაგრეებისთვის. გორაკის წვერზე საღამოს 7 საათზე ჯერ კიდევ ცხარე ბრძოლა იყო.

ტოკიო, 18 ნოემბერი („რეიტ.“). იაპონელებმა აიღეს 203 მეტრიანი გორაკი და მაგრად დგანან იქა.

შანჰაი, 19 ნოემბერი („რეიტ.“). ამ ჟამად შანჰაიში შეჩერებულია ათასამდე რუსი. ბევრ რუს ყოველ დღე ნება ეძლევა, დროებით წავიდნენ სხვაგან, რაც პოლიციის საქმეს უძნელებს. აქ იმ აზრისა არიან, რომ ეს რუსები რუსეთს უნდა გაიგზავნონო.

ლონდონი, 18 ნოემბერი („რეიტ.“). ინგლისის მთავრობა შეუდგა გამოძიებას იაპონიის მთავრობის შეკითხვის გამო. იაპონიის მთავრობამ აცნობა ინგლისს, რომ ინგლისელთა გემები როჟესტვენსკის ესკადრას ნახშირს აწვდიანო. განსაკუთრებული ზომებია მიღებული ამ საქმის გამოსარკვევად და შემდეგში ასეთ მოქმედების თავიდან ასაცილებლად.

ვაშინგტონი, 17 ნოემბერი („რეიტ.“). კონტრ-ადმირალი დევისი დასთანხმდა საერთაშორისო კომისიის წევრობას.

მუკდენი, 17 ნოემბერი. მე-36 პოლკის უფროსი პოდპ. ბიკოვი, რომელმაც პუტილოვის სოპკის აღების დროს უკანიდან მოუარა იაპონელებს, იმათ ჯარის ყურადღება მიიპყრო და ამით გაუადვილა სხვა პოლკებს სოპკის აღება, წარდგენილია წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენის მისაღებად.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 ნოემბერი.

ბრესტი, 17 ნოემბერი. დღეს დილით ბასეინში შეიყვანეს რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი „პრონზიტელნი“. უნდა გასინჯონ, რა ზიანი მოუვიდა გემს. შესაკეთებლად საჭიროა 2—4 დღე, მერე გემი სწრაფად წავა, რომ ესკადრას დაეწიოს.

პარიზი, 17 ნოემბერი. როგორც ლაკორუნიიდან „ტაიმს“ ატყობინებენ, რუსის ორი ნაღმიანი გემი გუშინ ფინისტერროს კონცხთან გაჩერდა, ტრანსპორტიდან ნახშირი გადაიღო და შემდეგ ზღვაში გავიდა.

ჩანსიამუტუნი, 17 ნოემბერი. აღმოსავლეთის რაზმმა 16 ნოემბერს დილით ცინხოჩენის სამხრეთით ულელტეხილთან მომხდარ შეტაკების შემდეგ განდევნა იაპონელები და წინ განაგრძო მსვლელობა. ამ რაზმის წინაალმდეგ, სხვათა შორის, მოქმედებენ მე-7 და 35 სარეზერვო პოლკები. მცირე შეტაკების გარდა მარცხენა ფრთაზე ბრძოლა არსად არ არის. ყველგან სიჩუმეა. ბევრი იმათგანი, ვინც წინად დაიჭრა, უკან დაბრუნდა.

ტოკიო, 17 ნოემბერი. სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესში პალატის წარმომადგენელნი ამბობენ, იაპონიის ჯარი ყველგან იმარჯვებსო. ჯარის სიმამაცეს და გატაცებას ბრძოლის ველზე მხარს უჭერს სამშობლოში ხალხის გრძნობა. ამისთვის იაპონია უნდა უმადლოდეს თავის იმპერატორს. ბრძოლის ბოლო ჯერ შორს არის, ხარჯი-კი თანდათან იზრდება. ხარჯის დასაფარავად ზომებია მიღებული როგორც შინ, ისე საზღვარ-გარედ. ეხლა დროა იაპონიის ხალხმა ერთად იმოქმედოს და ეცადოს ყველას საკეთილდღეოდაო.

ტოკიო, 18 ნოემბერი. „ცენტრალ ნიუსი“ იუწყება, რომ 203 მეტრიანი გორაკი და ფორტები იაპონელებმა ოთხშაბათს საღამოთი აიღესო.

ლონდონი, 18 ნოემბერი. „დეილი ნიუს“-ი იუწყება, რომ ეხლა მოლაპარაკებაა ნახშირის გადატანის შესახებაო. ფიქრობენ, ოთხშაბათს მეფემ საადმირალოს პირველ ლორდის კერძო მდივანი მიიღო ამ საქმის გამო.

ტოკიო, 17 ნოემბერი. „ტაიმს“-ის სიტყვით, იაპონელები ძლიან გაუოცებია რეიტერის დეპეშას. ეს დეპეშა იუწყებოდა, რომ იაპონელები უკმაყოფილონი არიან ინგლისისა რომელიც ბალტიის ფლოტს ნახშირს აწვდისო. იაპონელები უკმაყოფილნი არიან საფრანგეთისა, რომელიც თავის ნავთ-სადგურებით ხელს უწყობს ბალტიის ფლოტის მგზავრობას. პოლიტიკური დასები ამის გამო მთავრობას შეეკითხებიან პარლამენტში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 ნოემბერი

ლონდონი, 17 ნოემბერი („რეიტერი“). ინდოეთის საქმეთა სამინისტროში დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ ამბავს, რომელიც ბალხის გუბერნატორმა ავღანის ემირს აცნობა. გუბერნატორმა შეატყობინა ემირს, ხასარ-ბანდარში კარგა ბლომა რუსის ჯარი მოვიდაო. ფიქრობენ, რუსებს მაშველი ჯარი მიუვიდათ. თუ ასეა, მალე ეს ამბავი ოფიციალურადაც გამოცხადდება.

კაპშტადტი, 16 ნოემბერი („რეიტერი“). მოვიდა გემი, რომელზედაც განსვენებულ რეზიდენტის კრიუგერის გვამია. გვამს საგანგებო მატარებლით 24 ნოემბერს პრეტორიაში წაასვენებენ.

კალკუტა, 17 ნოემბერი („რეიტერი“). ქაბულში დანიშნული ინგლისის მისია 16 ნოემბერს დაკას მივიდა. მისიას დახვდა 200 ავღანელ ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმი.

კრონშტადტი, 17 ნოემბერი. სანაოსნო სეზონი დასრულდა.

18 ნოემბერი

რომი, 17 ნოემბერი (სტეფანის სააგენტო). მეფემ პარლამენტი გახსნა და წარმოსთქვა სეფე-სიტყვა, რომელშიაც გარეშე პოლიტიკას შეეხო, მშვიდობიანობას, სთქვა მეფემ, უზრუნველ-ყოფილია კავშირებითა და გულწრფელ მეგობრულ დამოკიდებულებებით, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ გერმანიის იმპერატორი, ინგლისის მეფე და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რომში იყვნენ. საფრანგეთთან, ინგლისთანა და შვეიცარიასთან შეთანხმდით, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გასარჩევად, თუ რამე უთანხმოება მოხდა იტალიისა და მათ შორის. ეხლა მოლაპარაკებაა ამავე საგანზე შეერთებულ შტატებთანა და სხვა სახელმწიფოებთან.

ხოტინი, 17 ნოემბერი. გუბერნიის საქმეთა საკრებულომ არ შეიწყნარა ხოტინის ერობის შუამდგომლობა, რომ საკვებ თანხიდან 120,000 მანეთი გადაიდოს იმ ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად, რომელნიც ნამდვილ სამსახურში გაიწვიეს.

სოფია, 17 ნოემბერი (ოპოზიციის წრეებიდან). ბოლგარიის მთავრობის დამოკიდებულება პორტასთან მწვავდება, რადგან ოსმალეთს არა სურს აასრულოს, რაც უნდა აესრულებინა ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების ძალით. მთავრობის მომხრე უმრავლესობამ მოისმინა სამხედრო მინისტრის სიტყვა, რომელშიაც თხოულობდა ახალ კრედიტს ახალ სამხედრო ღონისძიებათათვის. ეს საქმე საერთო კრებას წარედგინება.

18 ნოემბერი.

პეტერბურგი. განჯის გუბერნიის ზანგეზურისა და ჯებრაილის მაზრები გამოცხადებულ იქნენ ხოლერის მხრივ საშიშო მაზრებად.

აახენი, 17 ნოემბერი. დილით მცირედ მიწა იძრა.

ბელგრადი, 17 ნოემბერი (საკ. კორეს.). მინისტრებმა ბოგიჩევიჩმა, ტოდოროვიჩმა და დავიდოვიჩმა ქაღალდები შეიტანეს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. საერთო კრებაზე კლუბი გადასწყვეტს კაბინეტის ბედს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,87½
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტ[ა]	92⅛
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅝
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	428
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	272½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87¼
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტევოსოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლებში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სნით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქირავდება შუა ფასებში ღვინის სარდაფი ვერის დასახლებაში, ყორღანოვის ქ. № 2. ორმხრივ შესავალით, მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ იმავე სახლებში სახლის პატრონს ვლადიმერ ხუნდაძეს. (4—382—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიძის
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სნით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ დებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვა და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი [illegible], № 92, [illegible] ახლოს. (წ.—176—9)

№ 4711
ო-დე-კოლონი
№ 4711 ო-დე-კოლონს საუცხოვო სუნელებან აქვს და ძალიან კარგად მოქმედებს. ახლაც ამ ო-დე-კოლონს ხმარობს მთელი განათლებული კაცობრიობა.
ფერდ. მიულჰენს
რეინის კელნი
მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

(6—მც.—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ყრმისა [illegible]—მამა ბაზასისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელეთ, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
[illegible], დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—[illegible]	—	[illegible]
[illegible] რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
[illegible]	—	30
[illegible] ტფილისში	—	15
[illegible]	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	[illegible]
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	80
[illegible]	—	25
[illegible], თარგ. სომხურიდან [illegible]	1	—

თელავში გამოსაჩენ ადგილზე იყიდება ახლად აშენებული სამ-სართულიანი სახლი ფლიგელით დახურული ცინკ-წასმული თუნუქით. დაწვრილებითი ცნობებისათვის და ფასისათვის მიმართეთ: Москва, Поварская уч., домъ Суходольскаго квартира, 12 დიმიტრი ივანეს ძე როსტომოვს. (4—375—3)

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრები
(ყოფილი „ალფა“)
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, [illegible] ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, პურით, არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible] 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის 5—12 ს. ღამ. (38—52—71)

ცინკოგრაფია
წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა, ვანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.